

იველი +

ერთვითვიური ჟურნალი შიგდუდული შისაქლებლობის მქონე პირებისათვის
№ 1 (49) იანვარი 2015წ.





ვულოცავთ გამარჯვებას!

მთელი საქართველო უხურებდა მიმდინარე წლის 14 იანვარს, ტელეკომპანია „რუსთავი2“-ს ეთერში გადაცემულ „ნიჭიერის“, ფინალურ კონცერტს, სადაც 12 უძლიერესი ფინალისტი მონაწილეობდა. ზომ ნახეთ რა ღირსეულად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე თემურ არაბიძე თავის მენჯეილესთან, ქეთი ზაზანაშვილთან ერთად, ანსამბლი „ლილე“, კოკა და ნინო, უმძაფრეს კონკურენციაში, ისინი ოსტატობასთან ერთად, ადამიანური ღირსებითაც გამოიჩინოდნენ. „ნიჭიერის“, სცენიდან თავიანთი სიტყვა ისე შთამბეჭდავად თქვეს, თითქოს გუგუნებდნენ - ადამიანებო, არაფერი შეგეშალოთ, ჩვენ არავის არ ვუდებთ ტოლს, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, გვიყურეთ ჩვენ და ასე დაინახეთ სამყარო - ასე გავიგე მათი ნააზრევი და მეც ამას მოგინოდებთ - მარტო კი არ ვუყუროთ, არამედ დაეინახოთ, თუ რამდენად დიდი პოტენციალი გააჩნიათ მათ, დავიყენოთ გვერდზე და მათთან ერთად ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა. შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, და რომ არ არსებობს, კიდევაც დაგვიმტკიცეს თავიანთი ნიჭიერებით.

გულწრფელად ვულოცავთ ამ გამარჯვებას თემოს და ქეთის, 190 271 ხმიდან 33,2% (ანუ 64 901 ხმა) მიიღეს თემომ და ქეთიმ და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს. აი, როგორ უნდა „ბარიერების“, ნგრევა, ეს გამარჯვება არა მარტო მათ, არამედ ეკითვნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მთელ თემს და სრულიად საზოგადოებას, რადგან ეს იმ საზოგადოების გამარჯვებაა, რომელიც ასეთ ღირსეულ ადამიანებს ზრდის.

*ჟურნალ „იმედი +“-ს რედაქციის სახელით
თეიმურაზ მიქიაშვილი*

ISSN1987-7161 977198771600
მთავარი რედაქტორი
თეიმურაზ მიქიაშვილი 593 33 5887 info.imediplus@gmail.com
რედაქტორის მოადგილე
მაია ასაკაშვილი asakashvili_maia@yahoo.com
ღიზინერი
სოფო ტარყაშვილი 592 534466
გამომცემელი
კავშირი „იმედი პლიუსი“
საკონტაქტო ინფორმაცია
ზ.ფალიაშვილის № 47 ^ა მე-2 სადარბ. ბ 12 +995 2 25 28 81 +995 2 25 28 83 pr_iediplus@yahoo.com info.imediplus@gmail.com ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

ლარიაშვილი: 2015 წლიდან შშმ ბავშვებს გაზრდილი პენსია და სპეციალური სერვისები ექნებათ	2
დავით სერგეენკო: „სახელმწიფოს უფლება არ აქვს, ადამიანი უფულობის გამო მოკლას“	2
დავით ნარმანია სოციალური საწარმოების მესამე ყოველწლიურ კონფერენციას დაესწრო	2
ურთიერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი	3
ამპუტანტ ფეხბურთელთა ჩემპიონატი ფეხბურთში	3
ახალი ტექნოლოგია-ბიონიკური მუხლის პროტეზი	4
ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები	5
ჟურნალმა „ფორბსმა“ ქართული ღვინო წლის საუკეთესო სასმელების სიაში შეიტანა	6
საქართველო ამერიკელი დიპლომატების თვალთ	6
საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქობულეთში განთავსებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შესახებ	7
იქნებ დავნერგოთ ადაპტური ფიზიკური აღზრდა	7
ჟურნალი „ოჯახის მკურნალი“ რატომ აღარ ვლაპარაკობთ?	9
„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია“	11
ამბავი ალი-აკბარ იბნ-ზაჰირის ბედისწერისა	13
სამეწარმეო უნარ-ჩვევები და შშმ პირთა სოციალური ინტეგრაცია	15
უფლება, რომელიც შშმ პირებს ბავშვთა სახლებმა წაართვეს	17
რა უნდა ვიცოდეთ სინუსების ინფექციისა და ხმის ჩახლეჩის მიზეზების შესახებ	20
ნაადრევი დაბერების სინდრომები	23
გავუფრთხილდეთ ბებიებს	25
„კეთილი ბიძიები“, სახელმწიფო და ბავშვები	27
ფუნქციური ტრანვარჯიზი საინვალიდო ეტლით მოსარგებლე პირებისათვის (ვარჯიშთა კომპლექსი ტანის ზედა ნაწილის, ხელებისა და კისრისათვის)	30
კონტრაქტურები	31



ჟურნალი გამოდის „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.

გარეკანის პირველ გვერზე - ილიას და აკაკის ძეგლი, თბილისის № 1 ქართული გიმნაზიის წინ. მეოთხე გვერდზე - თბილისის იუსტიციის სახლი. თეიმურაზ მიქიაშვილის ფოტოები.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან
 ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

ახალი ამბავი

ღარიბაშვილი: 2015 წლიდან შპს ბავშვებს გაზრდილი პენსია და სპეციალური სერვისები ექნებათ

ღათო ფარულავა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, შპს ბავშვები 2015 წლიდან გაზრდილ პენსიას მიიღებენ და სპეციალური სერვისებით ისარგებლებენ.

„2015 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პენსია საარსებო მინიმუმს გაუტოლდება და შეიქმნება სპეციალური სერვისები. სექტემბრიდან პენსია 9929 ბავშვს გაეზრდება. 2015 წლის ზაფხულიდან აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის სპეციალური პროგრამა დაიწყება, ამოქმედდება შინ მოვლის პროგრამა, რომელიც განკუთვნილია 7-დან 18 წლამდე ასაკის შპს ბავშვებისათვის. იანვრიდან სპეციალისტები, დონორთა დახმარებით, მომზადდებიან, პროგრამა კი სექტემბრიდან დაიწყება,“ - თქვა პრემიერმა.

პრემიერმა დევენილებზეც ისაუბრა და თქვა, რომ მთავრობის ერთ-ერთი დაპირება დევენილთა საკუთარი ჭერით უზრუნველყოფა იყო.

„საცხოვრებელი 10 500 დევენილია უზრუნველყოფილი. 4 000-მდე ოჯახს საცხოვრებელი ფართი 1 ლარად დაუკანონდა. ამ პროექტს 2016 წლისთვის დავასრულებთ,“ - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/122531/>

დავით სერგეენკო: „სახელმწიფოს უფლება არ აქვს, ადამიანი უფულობის გამო მოკლას“



ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საყოველთაო ჯანდაცვის ორ წელს აჯამებს. „ამ რეფორმის წარმატება ხელისუფლების დამსახურებაა. მათ არ დაიშურეს ძალისხმევა, რომ საქართველოში ყველა ადამიანს ჰქონოდა ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. ადამიანი უფულობის გამო არ უნდა კვდებოდეს. დღეისთვის, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების 100% უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით. იყო დრო, როდესაც ადამიანებს მთელი ქონების გაყიდვა უხდებოდათ იმისთვის, რომ სამედიცინო ხარჯები დაეფარათ. სახელმწიფოს უფლება არ აქვს, თავისი მოქალაქე უფულობის გამო მოკლას. ამ ხელისუფლებამ

ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ადამიანებს ჰქონოდათ ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. ბუნებრივია, არის პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაზეც სისტემატურად ვმუშაობთ“-განაცხადა დავით სერგეენკომ.

<http://ipress.ge/new/230-davit-sergeenko-sakhelmtsifos-ufleba-ar-aqvs-adamiani-ufulobis-gamo-moklas>

დავით ნანუაშვილი სოციალური სანარმოების მესამე ყოველწლიურ კონფერენციას დაესწრო

მაია ასაკაშვილი

თბილისის მერი დავით ნანუაშვილი სოციალური სანარმოების მესამე ყოველწლიურ კონფერენციას დაესწრო. კონფერენცია თბილისის მერიის, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა.

ფორუმში თბილისის მერიის, სოციალური სანარმოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ღონისძიების მეორე ნაწილი თბილისის მერმა გახსნა.



დავით ნარმანიამ სექტორებს შორის თანამშრომლობასა და მის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობის შესაძლო სფეროებსა და მექანიზმებზე ისაუბრა.

„სოციალური მენარმეობა ძალიან საინტერესო მიმართულებაა. სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობების ან სოციალური მზრუნველობის მქონე ადამიანები მუშაობენ და ქმნიან პროდუქციას, რომელიც ბაზარზე იყიდება. საინტერესოა იმით, რომ ეს ადამიანები იღებენ შემოსავალს და მუდმივად არიან დატვირთულები და აკეთებენ იმ საქმეს, რაც მათ სიამოვნებას ანიჭებთ. თბილისის მერია აქტიურად უჭერს მხარს თბილისში მოქმედ სოციალურ საწარმოებს და მომავალშიც გავაგრძელებთ მხარდაჭერას,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ

სოციალური საწარმოების კონფერენცია მესამე წელია ტარდება. წელს ფორუმის მთავარი თემა სამოქალაქო, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა იყო. ლონისძიების მიზანი სოციალური მენარმეობის, როგორც სოციალური მიზნების მქონე ბიზნეს-მოდელის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენდა.

ქეთევან ჭიჭლაძე

უნიციპალიტეტის მერიის აქტიურობის ანგარიში



2014 წლის 31 დეკემბერს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ასოციაცია „ჰანგი“-ს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა ბ-ნ ირაკლი გოგონიამ და ასოციაცია „ჰანგი“-ს თავმჯდომარემ ბ-ნ რუსლან საჯაიამ. მემორანდუმის ითვალისწინებს ასოციაცია „ჰანგი“-ს ბაზაზე შექმნილ ამპუტანტ ფეხბურთელთა კლუბის „ოდიში“-ს მხარდაჭერას. ასოციაცია „ჰანგი“-ს ადმინისტრაცია და ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის „ოდიში“-ს ფეხბურთელები მადლობას უხდებიან ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას კეთილი ნების გამოხატვისთვისა და თანადგომისთვის. იმედს გამოთქვამენ, რომ ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი და უფრო დიდი წარმატებების საწინდარი იქნება.

ტეტის მერიას კეთილი ნების გამოხატვისთვისა და თანადგომისთვის. იმედს გამოთქვამენ, რომ ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი და უფრო დიდი წარმატებების საწინდარი იქნება.

ამპუტანტ ფეხბურთელთა ჩემპიონატი ფეხბურთში

ქეთევან ჭიჭლაძე



2014 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს სუპერთასის გათამაშება ამპუტანტ ფეხბურთელთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ასოციაცია „ჰანგი“-ს ბაზაზე არსებული 2014 წლის საქართველოს ჩემპიონი, ზუგდიდის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“ და 2014 წლის საქართველოს თასის მფლობელი თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი. მატჩი წარიმართა ძალიან საინტერესოდ. იყო დაძაბული

და ლამაზი შერკინება. მატჩის ძირითადი დრო დასრულდა ფრედ 2-2. დამატებით დროში გუნდებმა თითო ბურთი გაცვალეს. საბოლოოდ თამაში დასრულდა ფრედ 3-3. გამარჯვებული უნდა გამოეყვინა თერთმეტმეტრიანების სერიას, რაშიც უფრო ილბლიანები თბილისელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და შესაბამისად გამოვიტანა გამარჯვებულიც. თერთმეტმეტრიანების შედეგად, საქართველოს 2014 წლის სუპერთასის მფლობელი გახდა თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი, რასაც გულწრფელად ვულოცავთ. ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“ ამჯერად დასჯერდა 2014 წლის საქართველოს ჩემპიონის ტიტულს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ზუგდიდის მერიის თანადგომით, გუნდი „ოდიში“ განაგრძობს ინტენსიურ ვარჯიშს და 2015 წელს გვპირდება უფრო მეტ წარმატებებს.

ბიონიკური მუხლის პროტეზი

ახალი ტექნოლოგია



პირველი ბიონიკური მუხლის პროტეზის გამოყენების შესახებ 2014 წელს გაახშიანა ბრიტანულმა The Daily Mail-იმ. გამოგონება ნაჩვენებია იქნა ლონდონის მეცნიერების მუზეუმში. ამ მოწყობილობას, რომელიც შემუშავებულია ისლანდიაში, შეუძლია ავტომატურად აენწყოს მომხმარებლის მოძრაობაზე - მისი ნაბიჯის განზომილებაზე, სიჩქარეზე და გრუნტის ტიპზეც კი.

სენსორული ბადე, ვიზუალიზატორი და კომპიუტერული თავი, რომლებიც იმართება სუნთქვის დახმარებით.

იმ ადამიანებისათვის, რომელთა მოძრაობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია, გამომგონებლებმა შექმნეს ერთდროულად რამდენიმე საკომუნიკაციო მოწყობილობა.

ამერიკელმა გამომგონებელმა იგორ ბარინოვმა წარმოადგინა სენსორული ბადე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია სმარტფონის მართვა ხელების დაუხმარებლად. გამოგონებამ კონკურსში FabLab Weekend დაიკავა პირველი ადგილი იუნყება NEWSru.com.



იაპონიაში გამოჩნდა სპეციალური კამერა, რომელიც აკვირდება ადამიანის ხედვას, ანალიზს უკეთებს ადამიანის ტვინში მიმდინარე ქიმიურ რეაქციებს და ვიზუალიზებს წარმოსახვას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ჯერჯერობით გამოგონების პრაქტიკულად გამოყენება სრულად არ ხდება კომპიუტერული თავგვისგან განსხვავებით, რომლის მართვა შესაძლებელია სუნთქვის საშუალებით. ეს მოწყობილობა ასევე იაპონიაში, კინკის კერძო უნივერსიტეტში გამოჩნდა. ამ მოწყობილობის დახმარებით იმ შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომლებსაც პარალიზებული აქვთ ან არ გააჩნიათ ზედა კიდურები, შეუძლიათ იმუშაონ კომპიუტერით. სპეციალური მიმწოდებლები, რომლებიც მოთავსებული არიან სპეციალურ მილში, გადასცემენ მომხმარებლის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის ხანგრძლივობის შესაბამის კომანდებს.



კომპიუტერის ვიზუალური მართვის სისტემა

მსოფლიოს საზოგადოების არანაკლები ყურადღება მიიპყრო 17 წლის ჰონდურასელი გენიოსის გამომგონებამ. მან შეიმუშავა

კომპიუტერის ვიზუალური მართვის სისტემა, რომლის ღირებულებაა სულ რაღაც 65 აშშ დოლარი. ეს 30-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე მსოფლიოში არსებული სისტემები - ნათქვამია Business FM-ში.

იპელი + იყითხეთ ფუნქციონალი „იპელი +“

ინალუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები

მაია ასააშვილი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შემადგენლობით წარმოდგენილ საკონსულტაციო საბჭოსთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანი 2014 წელს ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების გაც-

ნობა იყო. პრეზენტაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის ახალი მექანიზმის საფუძვლად, 2014 წელს 16 სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 31 განსხვავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხა სსსმ 109 პირი. აქედან 68 ინტელექტუალური შეზღუდვით და სწავლის სიძნელეებით, 21 სმენის შეზღუდვით, 14 მხედველობის შეზღუდვით და 5 ფიზიკური შეზღუდვით.
- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც აისახება საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ და შექმნის ლეგიტიმურ პლატფორმას ინკლუზიური პროფესიული განათლებისთვის;
- პროფესიულ განათლებაში აკადემიური შესტური ენის განვითარების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ნორვეგიელი პარტნიორების ხელშეწყობით, შეიქმნა ქართული შესტური ენის ელექტრონული გვერდი, რომელზეც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ლექსიკა და ტერმინოლოგია განთავსდება; რამდენიმე შეხვედრა გაიმართა სფეროს ნორვეგიელ ექსპერტებთან; მომზადდა სატენდერო წინადადება და გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით განახორციელებს ქართული შესტური ენის განვითარების აქტივობებს;
- ჩატარდა კვლევა „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“; მომზადდა და ამჟამად მიმდინარეობს სსსმ და შშმ პირთა დასაქმების მიმართ დამსაქმებლების დამოკიდებულებების კვლევა, რაც ინკლუზიური პროფესიული განათლების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს უფრო მიზანმიმართულსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის; ასევე, მიმდინარეობს კვლევა მონყვლადი ჯგუფებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
- ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა და გამოიცა რამდენიმე პუბლიკაცია: „შეფასება სწავლისათვის ინკლუზიურ სკოლებში“, „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“, 2013 წლის ანგარიში, „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“;
- გაგრძელდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის დამხმარე სპეციალისტებისა და შესტური ენის თარჯიმნების დანიშვნის პროცესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის გარე მექანიზმის გაძლიერების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს დაემატა 5 წევრი, რომელიც პროფესიულ სასწავლებლებში სსსმ სტუდენტების განათლების პროცესის მონიტორინგსა და მხარდაჭერას ახორციელებს;
- მომზადდა საფუძველი იანვრის თვიდან მხედველობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის მობილობისა და ორიენტაციის ტრენინგების ჩასატარებლად და ეტლით მოსარგებლე პირების პროფესიულ სასწავლებლებში ტრანსპორტირებისას პერსონალური ასისტენტით უზრუნველსაყოფად;
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, რაც ძირითადად ცნობიერების ამაღლებასა და პროფესიულ დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ადმინისტრირების გაძლიერებას ისახავს მიზნად;
- საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას მიზნით, ჩატარდა სასწავლო ტური ნორვეგიაში პროფესი-

ული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და ასისტენტებისთვის;

- საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილების (2014 წლის 6 იანვარი) და უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით, დაიწყო მუშაობა და 2015 წლის იანვრის თვეში დასრულდება რეკონსტრუქციული პროექტები 5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის;
- სსსმ და შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის ინიციატივის ფარგლებში, გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია; ამასთანავე, სსსმ პირების დასაქმების საკითხის პოპულარიზაციის მიზნით, ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- მომზადდა საინფორმაციო ბროშურა დამსაქმებელთათვის, რომელიც სსსმ და შშმ პირების დასაქმების შესახებ დამსაქმებლის ცნობიერების გაზრდას ისახავს მიზნად.

სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით დისკუსი გაიმართა.

ქარნალმა „ფორბსმა“ ქართული ღვინო წლის საუკეთესო სასმელად სიაში შეიტანა



- ქართული ღვინო იმ 9 სასმელს შორის მოხვდა, რომლის დაგემოვნებაც 2015 წლიდან უნდა დაეწყო.
- სტატიის ავტორი განსაკუთრებით მოიხიბლა ნარინჯისფერი ღვინით, რომელიც თეთრი ყურძნისგან მზადდება.
- ფორბსი ტურისტებს ურჩევს, დააგემოვნონ ალავერდის მონასტრის ღვინო - „ხობხობის ცრემლები“ და „იაგოს ღვინო“ თუ არასდროს გაგისინჯავთ, საქართველო ის ადგილია, საიდანაც ეს უნდა დაიწყოთ,“ - წერს ამერიკული გამოცემა.

http://pia.ge/show_news.php?id=31701&lang=geo

საქართველო ამერიკელი დიპლომატების თვალით

თეიმურაზ მიქიაშვილი

17.12.2014 – 10.01.2015

“ამერიკელი დიპლომატების თვალით დანახული საქართველო”
ფოტო გამოფენა - მაიკლ ტერნერი და ლარი დუმლაო

“Georgia Through the Eyes of American Diplomats”
Photos by Michael Turner & Larry Dumlaio
December 17 - January 10

ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი
რუსთაველის გამზარი 27

Zurab Tsereteli Museum of Modern Art
Rustaveli av.27

საქართველოში, დიპლომატიური მისიით, მრავალი ადამიანი ჩამოდის. მათ უმეტესობას ეს ქვეყანა სამუდამოდ უყვარდებათ. მაიკლ ტერნერი და ლარი დუმლაო სწორედ ასეთი პიროვნებები არიან. მათ ფოტოსურათებში აღბეჭდილია ქართველებისა და ქართული კულტურის ხიბლი. მათი ფოტოსურათები მოუთხრობს მსოფლიოს საქართველოს ბუნების, ისტორიული ძეგლების, ტრადიციების, ურთიერთობების, სიმღერების, ცეკვების და ყოველივე იმის შესახებ, რაც საქართველოს უნიკალურობას სძენს.

სამუშაო გრაფიკით დატვირთული ეს ადამიანები თავისუფალ დროს და საკუთარ ნიჭს უძღვნიან საქმიანობას, რომელმაც სარგებელი მოუტანა ბევრ ადამიანს. ისინი მონაწილეობენ საქველმოქმედო აუქციონებში, იღებენ ფოტოსურათებს მნიშვნელოვან ქართულ-ამერიკულ ღონისძიებებზე, უღებენ „იმედის პორტრეტებს“ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში მოხვედრილ ქალებს და ატარებენ ლექციების კურსს ადგილობრივი ფოტოხელოვნების მოყვარულთათვის.

17 დეკემბერს, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ჩატარდა გამოფენა სახელწოდებით „ამერიკელი

დიპლომატების თვალით დანახული საქართველო“, რომელმაც მრავალრიცხოვანი მნახველი მიიზიდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დიპლომატების - მაიკლ ტერნერის და ლარი დუმლაოს ნამუშევრები, წარმოდგენილმა ექსპონატებმა დამთვარიელებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გაგრძელება →

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქობულეთში განთავსებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შესახებ



2014 წლის 23 ნოემბერს არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა „სოციალური პარტნიორობა„ ქობულეთში ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება გახსნა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეხსნა პანსიონური მომსახურების სერვისი საჯარო სკოლის სივრცეში, რაზეც სამინისტროსგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ამ ფორმით პანსიონური მომსახურების განხორციელება ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას.

2014 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ აღნიშნულ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დაწესებულება გათვლილია 50 აღსაზრდელზე. ამჟამად, იქ ირიცხება 7–დან 12 წლამდე ასაკის 13 აღსაზრდელი, რომლებიც 2 სადღეღამისო სააღმზრდელო ჯგუფში არიან განაწილებული. ამ ეტაპზე დაწესებულებას მინიჭებული არ აქვს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის ან პანსიონის სტატუსი და მასში არასრულწლოვანი ბენეფიციარები განთავსებული არიან ააიპ „სოციალური პარტნიორობისა„ და მათ კანონიერ წარმომადგენლებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაწესებულებას ჰყავს 4 აღმზრდელი, რომლებთანაც დადებულია 3 თვიანი ხელშეკრულებები გამოსაცდელი ვადით. სააღმზრდელო დაწესებულებაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.

აღსაზრდელები იღებენ ზოგად განათლებას. საჯარო სკოლაში ბენეფიციარების ტრანსპორტირებას სააღმზრდელო დაწესებულება უზრუნველყოფს. ორგანიზაციის მენეჯერის განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბავშვებზე დაკვირვება მათი საჭიროებებისა და ინტერესების გამოსაკვეთად. შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, აღსაზრდელები არაფორმალური განათლების ფარგლებში არ არიან ჩართული სხვადასხვა აქტივობებში. ასევე, დაწესებულებაში არ არის შემუშავებული აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების ინდივიდუალური გეგმები.

დაწესებულება დღევანდელი მდგომარეობით, არც სკოლა–პანსიონია და არც მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი. შესაბამისად, დაწესებულების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული ბავშვთა სახლის გახსნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რაც გულისხმობს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას და დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების გაუქმებას.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს აღნიშნული საქმის შესწავლას და იგეგმება შემდგომი ლონისძიებების განხორციელება დაწესებულებაში განთავსებულ ბავშვთა უფლებების დასაცავად.

იქნებ დავნერბოთ ადაპტური ფიზიკური აღზრდა

თეიმურაზ მიქიაშვილი

მსოფლიოში წარმატებით ვითარდება როგორც სარეაბილიტაციო, ასევე უმაღლესი მიღწევების საინვალიდო სპორტი. ეროვნული, კონტინენტური და მსოფლიოს მასშტაბის შეჯიბრებების გარდა, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება, როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის პარალიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სურდოლიმპიური თამაშები. ოლიმპიურმა სულმა საინვალიდო სპორტშიც შეაღწია და მსოფლიოს მისცა ზემოთ აღნიშნული უდიდესი ალტერნატიული სპორტული თამაშები, რომლებიც თავისი მასშტაბურობით, შინაარსით, დანიშნულებით და სპორტულ პაექრობათა სიმძაფრით, თვით საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებსაც

კი არ ჩამოუვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უქმნიან ყველა პირობას, როგორც მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ფიზიკურ განვითარებაში გადახრების კორექციისათვის, ასევე სოციალური ინტეგრაციისა და პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ერთი სიტყვით, ქმნიან ისეთ პირობებს, რომ ამ ადამიანებმა მიიღწიონ თავიანთი შესაძლებლობების განვითარების ოლიმპუს.

ყოველივე ამის განხორციელებას კი, საფუძვლად უდევს ადაპტური ფიზიკური აღზრდა.



ადაპტური ფიზიკური აღზრდა განხილულია, როგორც საერთო კულტურის ნაწილი, როგორც ფიზიკური კულტურის ქვესისტემა, სოციალური ქმედების ერთ-ერთი სფერო, რომელიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მოძრაობითი დარღვევების და სხვა გადახრების აღსადგენად, პიროვნული თვისებების, ჯანმრთელობის განვითარების, გაძლიერების და აღდგენითი პროცესების სრულყოფისათვის, ფიზიკური და სულიერი ძალების რეალიზაციისათვის მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ნებისმიერი კულტურული მოვლენის, და მათ შორის ადაპტური ფიზიკური აღზრდის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს შემოქმედებითი საწყისები. ამრიგად, შეიძლება მთელი სითამამით ითქვას, რომ ადაპტური ფიზიკური აღზრდა, როგორც სამკურნალო პედაგოგიკის ახალი სასწავლო დისციპლინა, წარმოადგენს ადამიანური ბუნების გარდაქმნის, „სხეულის გაკულტურების“, მისი გაჯანსაღების და გაჯანმრთელების, ინტერესების, მოტივების და მოთხოვნილებების, ჩვევების და უმალესი ფსიქიკური ფუნქციების ფორმირებისათვის შემოქმედებით საქმიანობას.

საქართველოს განათლების კანონში ნათქვამია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველი ბავშვის ადეკვატური ასაკის და განვითარების დონის შესაბამისი სრულფასოვანი პიროვნების განვითარებისა და ფორმირებისათვის კომპლექსური ღონისძიებების დროული უზრუნველყოფის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტა იძენს განსაკუთრებულ სოციალურ და პედაგოგიურ მნიშვნელობას იმ ბავშვებთან მუშაობის პროცესში, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკურ განვითარებაში დარღვევები.

ადაპტური ფიზიკური აღზრდის მეთოდოლოგიას გააჩნია არსებითი განსხვავებულობა, რომელიც განპირობებულია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური სფეროს ანომალური განვითარებით. ზუსტად ესაა ის ბაზისური განსხვავებულობა, რომელიც ეხება სხვადასხვა ნოზოლოგიის მქონე ბავშვების მედიკო-ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მოძრაობითი სფეროს ტიპურ და სპეციფიკურ დარღვევებს. ამრიგად, პედაგოგიური პროცესის კორექციული და სარეაბილიტაციო მიმართულება განსაზღვრავს ადაპტური ფიზიკური აღზრდის აგების და შინაარსის კონცეპტუალურ მიდგომას.

ფიზიკურ აღზრდისაგან განსხვავებით, ადაპტური ფიზიკური აღზრდის პროცესში აღზრდის ობიექტია არა ჯანმრთელი, არამედ, ინვალიდობის მქონე ადამიანები. ამიტომ, მათი ფიზიკური აღზრდა მოითხოვს ამოცანის გადაწყვეტის არა მარტო მნიშვნელოვან, ხანდახან პრინციპულ ტრანსფორმაციას (მათი დიაგნოზის, ფიზიკური მდგომარეობის, საკორექციო სამუშაოების მიმართულების და ა.შ. გათვალისწინებით). სწორედ, ამ განსხვავების გამო ეწოდება ადაპტური ფიზიკური აღზრდა.

ადაპტური ფიზიკური აღზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის წარმოადგენს ფიზიკური რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, რომელიც ხორციელდება პედაგოგიური მეთოდებით და მის მიზანს წარმოადგენს ორგანიზმის წარჩინი რესურსების გამოყენების საფუძველზე, ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება და დამოუკიდებლობის მაქსიმალური დონის მიღწევა. თუ მედიცინის ამოცანაა დაავადების მკურნალობა, ადაპტური ფიზიკური აღზრდის ამოცანაა შეამციროს უნარშეზღუდულობის ხარისხი, რომელიც თვით დაავადებისაგან არის წარმოშობილი (გამონკვეული). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უნარ-შესაძლებლობების მთელი სპექტრი, რომელიც რეალურად არასდროს გამოუვლენია. მის განვითარებასთან და ზრდასთან ერთად არ მომხდარა უნარ-ჩვევების განვითარება, მათი გადატანა რეალურ ქცევაში, ფიზიკურ მოქმედებაში და მოძრაობითი გამოცდილების შექმნაში. ადაპტური ფიზიკური აქტიობა ადამიანს ეხმარება შეიძინოს, აღადგინოს და განავითაროს ის მოძრაობითი უნარ-ჩვევები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. საშუალებას აძლევს ისწავლოს და გამოიყენოს თავისი საკუთარი ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური (შემეცნებითი), ფუნქციური და სოციალური პოტენციალი. ეხმარება იმ სფეროში, სადაც მისი განვი-

თარება შეჩერებულია და არ განიცდის პროგრესს. აძლევს იმ ბაზისური უნარ-ჩვევების შექმნის შესაძლებლობას, რომელზედაც დააშენებს უფრო რთულ და კომპლექსურ უნარებს. უმრავლეს შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს აგრეთვე აღენიშნებათ ქცევითი დარღვევები, რის გამოც მნიშვნელოვნად იზღუდებიან გარემოსთან ინტეგრაციასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. სწორედ იმაში მდგომარეობს ადაპტიური ფიზიკური აღზრდის ამოცანა, რომ თავისი უსაზღვრო შესაძლებლობების ზეგავლენით, ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მოსწავლეებს აუმაღლოს ადამიანებთან ურთიერთობის და საზოგადოებაში ქცევის კულტურა და ამ გზით გამოუმუშაოს ადაპტიური ქცევა.

როგორც ვხედავთ, ადაპტიური ფიზიკური აღზრდა, როგორც დარგი, დიდ როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში და მისი კულტურის ამაღლებაში, ამიტომ მრავალ ქვეყანაში ყოველგვარ პირობას ქმნიან ამ დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად. ამ მიმართებით დიდი ტრადიციები გააჩნია ლონდონის, პარიზის, ბერლინის, ლაიპციგის, მადრიდის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის და ა.შ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უმაღლეს სასწავლებლებს. არაფერს ვამბობთ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებზე. არ არსებობს პოსტსაბჭოური ქვეყანა (თუ არ ჩავთვლით საქართველოს), სადაც არ ამზადებენ აღნიშნული დარგის სპეციალისტებს.

ვინაიდან ადაპტიური ფიზიკური აღზრდა უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ათვისებისათვის, ჩვენი ჟურნალი აპირებს სისტემატურად გააშუქოს მასალები ადაპტიური ფიზიკური აღზრდის და ადაპტიური სპორტის შესახებ, მაგრამ ძალიან კარგად გვესმის, რომ კვალიფიციური სპეციალისტების გარეშე ამ საქმის განვითარება კი არა, ადგილიოდან დაძვრაც შეუძლებელია, მით უმეტეს ახლა, როდესაც საჯარო სკოლებში

მრავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდი იღებს განათლებას. არა და, რამდენი ადამიანი ცდილობს აღმოფხვრას ან შეამციროს თავისი შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი, რამდენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს სურს აიმაღლოს ჯანმრთელობის დონე, კორექცია გაუკეთოს ფიზიკურ განვითარებაში გადახრებს, სრულყოს თავის ოსტატობა სპორტის არჩეულ სახეობაში, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ასპარეზობებში, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და თავი იგრძნოს სრულფასოვან ადამიანად.

სანამ არსებობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, მაშინდელი რექტორატის და შესაბამისი კათედრების ძალისხმევით, საფუძველი ჩაეყარა ადაპტიური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების მომზადების საქმეს. ჩატარდა აღნიშნული აკადემიის რეორგანიზაცია და დაინერგა მასზე ოცნებაც. იქნებ, ახლად აღდგენილმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტმა ითავოს ამ შესანიშნავი საქმის ხორცშესხმა? უნდა ითავოს, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ამ დარგის განვითარება ძალიან საჭიროა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან ბევრი ოჯახია, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი იზრდება და მათი ოჯახის წევრები ყველაფერს აკეთებენ, რომ აღმოფხვრან, ან შეამცირონ მათი შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხი. რამდენი ადამიანი დაინვალიდდა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, ეკოლოგიური კატასტროფების თუ ავტოკარიების შედეგად. მათ დახმარება სჭირდებათ, რომ აიმაღლონ ან შეინარჩუნონ თავიანთი ჯანმრთელობა. უნდა დაინერგოს, მით უმეტეს ახლა, როცა განათლების სისტემაში ბევრი ახალი წამოწყება იწერება. საჯარო სკოლებში მრავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სწავლობს, იწერება ჩვენთვის ახალი, განვითარებულ ქვეყნებში კი კარგად აპრობირებული ინკლუზიური განათლება. აუცილებლად უნდა დაინერგოს ადაპტიური ფიზიკური აღზრდა, როგორც სწავლებისა და აღზრდის აუცილებელი ფორმა.

შპრნალი „ოჯახის მშპრნალი“ რატომ აღარ ვლპპრაპობთ?

უკანასკნელ წლებში კატასტროფულად იმატა იმ ბავშვების რიცხვმა, რომლებსაც ლაპარაკი არ სურთ. რა ხდება? ჩვენ სულ უფრო ხშირად ვსვამთ ამ კითხვას, პასუხს სხვადასხვა წყაროში ვეძებთ, მაგრამ იშვიათად ვპოულობთ. რატომ არ ლაპარაკობენ ბავშვები, ამაზე მეტყველების განვითარებისა და კორექციის ცენტრ „ლოგომედის“ ექიმი ეკა ჭავჭავაძე გვესაუბრება.

- მეტყველების დარღვევები პრობლემათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მრავალი მათგანი ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მომტანი არ არის, ამიტომ საზოგადოება მეტყველების კორექციას ყოველთვის ზერელედ ეკიდებოდა. დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა, გაჩნდა და

გახშირდა პათოლოგიები, რომლებიც სწორედ უმეტყველობით ან მეტყველების სხვა ტიპის დარღვევით ვლინდება. მათ რიცხვს ეკუთვნის აუტიზმი და აუტისტური სპექტრი, მუტიზმი, თავის ტვინის ორგანული დაზიანებანი, კისტოზური წარმონაქმნები. მეტყველების დარღვევა მათი პირველი კლინიკური ნიშანია.

- ამიტომ ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, როგორ იწყება მეტყველება, რა არის ნორმა და რას უნდა მიაქციოს ყურადღება, უპირველეს ყოვლისა.- მეტყველების განვითარება იწყება პირველივე თვეებიდან, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს და წლისთვის სრულდება. პირველი ეტაპი 3 თვემდეა. მეტყველების ჩანასახოვან ელემენტად შეიძლება



მივიჩნით ბავშვის წამოყვრებაც კი. ამ ეტაპზე პატარა ერთგვარ ექსპერიმენტებს ატარებს ხმოვნებთან, თავდაპირველად სპონტანურად წამოიძახებს, შემდეგ წელავს, უსმენს საკუთარ ბგერებს და იწყებს მათ დაწყვილებას. 3-დან 6 თვემდე ხმოვნების მონაცვლეობის პერიოდია. თუ ადრე მხოლოდ ერთ ხმოვანს ამბობდა, შემდეგ აწყვილებს მათ და ამავე პერიოდის დასასრულს უკვე ჩნდება პირველი ორგანიზებული მარცვლებიც: მამა, დედე, ბუ-ბუ, ბებე და ა.შ. დაახლოებით 7-8 თვისთვის ბავშვი უკვე ყურს უგდებს უფროსების საუბარს და იწყებს სიტყვების გარჩევა-დიფერენცირებას. პირველ სიტყვებს გოგონები 9-10 თვის ასაკში წარმოთქვამენ, ვაჟები - 11-12 თვის ასაკში. წლინახევრიდან იწყება ლექსიკური მარაგის აქტიური გამდიდრება. ორი წლის პატარა უკვე უნდა ამბობდეს და არჩევდეს 100-150-მდე სიტყვას, 3 წლისას კი 200-ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს. თუმცა დღეს საკმაოდ ძნელია ისეთი ბავშვის პოვნა, რომელიც ორი წლის ასაკში 150-მდე სიტყვას ამბობს. მეტყველების ფუნქციის განვითარების შეფერხება უკვე გლობალურ პრობლემად იქცა.

- უმეტესად რა ინვესტს მეტყველების განვითარების შეფერხებას?- ამას უამრავი მიზეზი აქვს. ბავშვი სწორად რომ ამეტყველდეს, მას თავად უნდა ესმოდეს სხვათა სწორი და გამართული მეტყველება, მიღებულმა ინფორმაციამ მასში გარემოს შეცნობისკენ დაუძღვევლი სწრაფვა უნდა აღძრას. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდება ადამიანს სხვა ადამიანებთან, ცოცხალ ბუნებასთან სიტყვის მეშვეობით კომუნიკაციის სურვილი. მშობელთა მოუცვლელობა, ძიძების ინსტიტუტის ფართოდ დაწერვა, ტექნოგენიზაცია, ვიზუალური ეფექტების სიჭარბე - აი ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საგრძნობლად ამუხრუჭებს ამეტყველების ფიზიოლოგიურ პროცესს. ყოველივე ეს ბავშვს ვირტუალურ სამყაროში გადაბარების და იქ დამკვიდრების სურვილს აღუძრავს, შესაბამისად, ავიწროებს მისი ინტერესების სფეროს და ის ამ სამყაროს დატოვებაზე არც კი ფიქრობს. ვერბალური კომუნიკაციის დეფიციტი უფროსებთანაც საგრძნობია - დღეს ადამიანი კლავიატურამ შეცვალა.

- ვიზუალური ეფექტების სიჭარბე ახსენეთ. რას გულისხმობთ?- კომპიუტერულ თამაშებს, ანიმაციურ ფილმებს, რომლებსაც ბევრ დროს უთმობენ ჩვენი პატარები. ცნობილია მულტიპლიკაციური ეპილეფსიის ფორმა, რომელიც ბავშვებთან ნახატი ფილმების უზომო ყურებისას ვითარდება. განსაკუთრებით საზიანოა, როცა პატარები რამდენიმე ენაზე გახმოვანებულ ფილმებს მეტყველების აქტიური განვითარების პერიოდში - 2-4 წლის ასაკში უყურებენ. მშობლებს თავდაპირველად ძალიან მოსწონთ და ეამაყებათ კიდეც, როცა მათი პატარა საუბრისას უცხოურ სიტყვებს იყენებს, მაგრამ რამდენიმე ხანში რწმუნდებიან, რომ იგი ვერც ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს სრულფასოვნად, გარდა ამისა, დარღვეული აქვს ენის გრამატიკული შენება, ვერ ახერხებს პირისა და რიცხვის შეთანხმებას, დროების შერჩევას და ა.შ. ეს არ არის ბილინგვიზმი, როგორც ბევრს ჰგონია. ბილინგვეტი თავისუფლად მეტყველებენ ორივე ენაზე. მე კი ვგულისხმობ ბავშვებს, რომლებიც უსასრულოდ იმეორებენ უცხო ენაზე 2-3-სიტყვიან ფრაზებს, თუმცა მათი მნიშვნელობა არ ესმით. ამის გამო ისინი სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან თანატოლებთან ურთიერთობის დროსაც - მათი არ ესმით, გაურბიან მათთან თამაშს, რაც სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების სათავედ იქცევა. მინდა შეგახსენოთ, რასაც ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი გვიჩვენებდა: 5 წლამდე ბავშვს მხოლოდ ერთი ენა უნდა ესმოდეს. მხოლოდ ამის შემდეგ არის გამართლებული მეორე და მესამე ენის შესწავლა.

- რას ურჩევდით მშობლებს, რომელთა შვილებიც ენის ამოდგმას აგვიანებენ? - როდესაც ამეტყველება გვიანდება, ბავშვი უნდა აჩვენოთ ნეიროფსიქოლოგს ან ფსიქიატრს. აუცილებელია იმის გარკვევა, რითია გამოწვეული უმეტყველობა. დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ კი დაიწყება მეტყველების თერაპია. რა გენეტიკური მიზეზებიც არ უნდა იყოს ოჯახში, სამ წლამდე ლოღინი დამლუპველია. ორი წლის ასაკში პრობლემის მიზეზი უკვე უნდა გაირკვეს. ბავშვებს მეტხანს უნდა ვესაუბროთ. თუ უმეტყველობა პროვოცირებულია ვიზუალური ეფექტების სიჭარბით, ეს ფაქტორი უნდა აღმოიფხვრას. აქტიურ ამეტყველებამდე ბავშვს უნდა ესმოდეს მხოლოდ ერთი ენა. მას უნდა გაუხმოვანოთ ყველა ქმედება, დილის ტუალეტით დაწყებული, ძილის პროცესით დამთავრებული. ვიზუალური ეფექტები ვერბალური, ანუ სიტყვის-მიერი ეფექტებით უნდა ჩაუუნაცვლოთ, მოუყვებთ ძილის წინ ზღაპრებს, რაც დღეს იშვიათობაა. თუ არ გსურთ მწარე რეალობასთან შეგუება, ჩვილობიდანვე უნდა შეაჩვიოთ პატარა მშობლიურ ენას, თბილ, სიყვარულით, მზრუნველობით აღსავსე ფრაზებს. გარემო მისი ინტერესების მიხედვით უნდა გაახმოვანოთ, მოაწონოთ და შეაყვაროთ რეალობა.

<http://www.mkurnali.ge/allergologia/5549-ratom-ghar-vlparakobth.html?start>

„მეგლდრული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია“

სოფო ავციანური



მალე ერთი წელი გახდება, რაც საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ახალი ვალდებულებები აიღო. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებას წინ სხვადასხვა პროცესი უძღოდა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების და ამ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების აქციები, დახურული კულუარული შეხვედრები, გაჭიანურებული პროცესები და ურთიერთსანაწინააღმდეგო მოსაზრებები. საბოლოოდ, აქტივიზმმა შედეგი გამოიღო და გარკვეული დათმობების ხარჯზე (მთავრობამ ფაკულტატური ოქმის ხელმოწერაზე უარი თქვა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეროს შესაბამის კომიტეტში ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის საშუალებას მისცემდა) საქართველო საერთაშორისო კონვენციას შეუერთდა.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესები წინაა. მედიის წარმომადგენლებს კონვენციის სახით დიდი „სამუშაო დოკუმენტი“ გვიდევს წინ, რომელიც იმპლემენტაციის პროცესზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს.

რა შეიცვალა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, რა გამოწვევების წინაშეა ჩვენი მთავრობა და როგორ მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სრულყოფილ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის პროცესი?

ამის შესახებ „ლიბერალი“ გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ნილ სკოტს ესაუბრა.

ერთი წელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების წინაშე საქართველომ ახალი საერთაშორისო ვალდებულებები აიღო. გაეროს შუამ პირთა უფლებების კონვენციის პრაქტიკაში განხორცილება კი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია. თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემების წინაშე დგანან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და რა გამოწვევების წინაშეა ქვეყანა?

- კონვენციის რატიფიცირება თავისთავად კარგი ფაქტია. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 122 ათასზე მეტი შეზღუდული შესაძ-

ლებლობის მქონე პირია, თუმცა არაოფიციალურად ეს რიცხვი შესაძლოა მეტი იყოს. ჩემი აზრით, ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილ შესრულებაზე საუბარი ჯერ ადრეა. ქვეყანა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტს შეუერთდა, ბევრს საუბრობენ ევროპული სტანდარტების დანერგვაზე, თუმცა ეს ძალიან გრძელი პროცესია. ბევრი განვითარებული ქვეყანაც კი ამ გზას წლების განმავლობაში გადიოდა. თუმცა, თუ ვისაუბრებთ საქართველოს მთავრობის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და საბაზისო საკითხებით უნდა დავინწყოთ. ესაა ხელმისაწვდომობა გარემოზე, ინფრასტრუქტურაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ჯანსაღ სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობასა და დასაქმების უფლებაზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი სწავლაც სხვა ქვეყნებისგან შეგვიძლია, დამოკიდებულებები და სოციალური მიმართებებია. ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერება თუ არ ამალდება, სხვა ყველაფერი არაეფექტური იქნება. სწორედ, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ქმნიან შეზღუდულ შესაძლებლობებს.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები სიღარიბის მაღალი რისკის ქვეშ არიან. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ რისკის შესამცირებლად?

- საქართველოში სხვადასხვა, ე.წ. მონყვლადი ჯგუფია, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ძალიან უჭირთ სოფლად მცხოვრებ ადამიანებს, იძულებით გადაადგილებულებს და სხვა. ამიტომ სწორი არ იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე იზოლირებულად საუბარი. ყველა მონყვლადი ჯგუფი მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას. ეს პრობლემები უკავშირდება არა იმდენად შემოსავლების არათანაბარ განაწილებას, რამდენადაც შემოსავლების სიმცირეს ან უქონლობას. ბოლო დროს საქართველო ვითარდება და ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ გადადგმულ ნაბიჯებს. ეკონომიკური ზრდა და განვითარება საბოლოო ჯამში ყველა მონყვლადი ჯგუფზე აისახება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც.

არის თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმება ეკონომიკური და, შესაბამისად, სოციალური განვითარების ერთ-ერთი გზა?

- დასაქმება ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს, ყველაზე რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა. აუცილებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ მხრივ თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ. საქართველომ მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ

ხაზი უნდა გავუსვა, რომ ამ შემთხვევაშიც საუბარი არაა მხოლოდ შშმ ადამიანებზე. პრობლემას უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ. ნელს გაერომ და საქართველოს სახალხო დამცველმა ჩაატარეს რამდენიმე კვლევა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ შშმ ქალები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. სწორედ ასეა უმუშევრობის საკითხიც. თუ ქვეყანაში ზოგადად უმუშევრობაა პრობლემა, ეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებას უფრო მეტად ამძაფრებს. დაბოლოს, უნდა ვიმუშაოთ თავად დამსაქმებლებთანაც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დისკრიმინაციულად არ მიუდგენენ და რეალური და ადეკვატური სამსახური ჰქონდეთ.

- ახლა რეგიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესახებ...

- ზოგადად საქართველოში დგას რეგიონების განვითარების პრობლემა, რაც, რა თქმა უნდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების წინააღმდეგ მუშაობს. თუ ვსაუბრობთ, მაგალითად, ტრანსპორტის არაადაპტირებაზე, გაუმართავ ინფრასტრუქტურაზე, რეგიონებში ეს კიდევ უფრო მძაფრდაა გამოხატული. წლების წინ დიდ ბრიტანეთშიც იყო რეგიონების იზოლირების პრობლემა, შესაბამისად ეს შშმ პირებზეც აისახებოდა. თუმცა, როგორც კი რეგიონებში მოგვარდა ტრანსპორტის პრობლემა, მოგვარდა ადაპტირებული ტრანსპორტის საკითხიც.

რაც შეეხება გენდერულ ასპექტს, არიან თუ არა შშმ ქალები ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი, რაზეც სახალხო დამცველის კვლევებიც საუბრობს?

- ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. შშმ ქალები ხშირად არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ასევე შშმ ქალთა 50% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, რაც ძალიან დამაფიქრებელი ფაქტია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე წელია ინკლუზიური განათლების სისტემა დანერგა, თუმცა, ზოგადად, შშმ პირთა განათლების დონე არასახარბიელოა.

- ინკლუზიური განათლება კიდევ ერთი რთული საკითხია. ამისთვის საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები ჯერჯერობით მზად არ არიან. პირველ რიგში, მოსაგვარებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ზოგადი განათლების პრობლემა. არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოების დეფიციტია, მაგალითად აუდიო და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და ა.შ. ეს საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგია. შშმ პირებს მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისით აღიქვამდნენ, მათ სოციალურ ინტეგრაციაზე არავინ ზრუნავდა. ასეთი დამოკიდებულება შესაცვლელია, საზოგადოებამ ეს პროცესი უნდა გაიაროს და მივიდეს იმ გადანყვეტილებამდე, რომ შშმ ადამიანთა განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია.

ჩამოთვლილი პრობლემების მიუხედავად, ახლა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები აკისრია და ამაზე ზრუნვა ნაბიჯ-ნაბიჯ მოუწევს. თქვენი აზრით, რა პრიორიტეტები უნდა გამოიყოს იმპლემენტაციის პროცესში?

- რა თქმა უნდა, იმპლემენტაციის პროცესი ნელი იქნება. ეს ბუნებრივია, მაგრამ შედეგს მხოლოდ ერთ შემთხვევაში მივალნევთ - თუ დეკლარაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება წარიმართება ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების პარალელურად. გაეროს რეკომენდაციას, არ მოხდეს შშმ პირთა იზოლირება და სახელმწიფომ საზოგადოების გაძლიერებაზე სწორედ შშმ პირთა ჩართულობით იზრუნოს. მნიშვნელოვანია ნეგატიური სოციალური კლიშეების პოზიტიურით შეცვლა, მხოლოდ ასე დაიძვრება ყინული. ჰკითხეთ შშმ პირებს და თავად დარწმუნდებით, რომ მათ არ სურთ, საზოგადოებამ უყუროს, როგორც განსხვავებულებს. მათ უნდათ და უფლება აქვთ, რომ დანარჩენების თანასწორები იყვნენ.

- რა გეგმები აქვს გაეროს განვითარების პროგრამას საქართველოში ამ მხრივ?


- ჩვენი საქმიანობა ძირითადად, პოლიტიკურ საქმიანობასთან ასოცირდება, თუმცა გაერო აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში. აქტიურად ვუჭერდით მხარს კონვენციის რატიფიცირებას. ამჯერად ვაკვირდებით და ხელს ვუწყობთ იმპლემენტაციის პროცესს. პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან ერთად, ხშირად პრაქტიკულ პროექტებსაც ვახორციელებთ. მაგალითად, ვთანამშრომლობთ გადაუდებელი დახმარების სამსახურთან (112), ვეხმარებით, რომ მათი მომსახურება ხელმისაწვდომი გახდეს სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის. ეს პრობლემა ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მივხვდი, რომ არასდროს დავფიქრებულვარ, როგორ უკავშირდებოდნენ სმენადაქვეითებული ადამიანები გადაუდებელი დახმარების ცხელ ხაზს. ძალიან მნიშვნელოვანია ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ ვეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შემოქმედებით ჯგუფებს, მაგალითად „საქართველოს ყრუთა კავშირის“ ანსამბლებს. დღეს სწორედ მათი ღონისძიება მიმდინარეობს მარჯანიშვილის თეატრში. ძალიან მიხარია ამ ადამიანების წარმატება.

ქართველები თანაგრძნობით სავსე ხალხია, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ რთული ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების პროცესშია. ამ ვითარებაში საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს ბალანსს, რომელიც ყველა სოციალურ ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს, მონახოს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. დისკრიმინაცია დაუშვებელია და ჩვენ ამაზე აქტიურად უნდა ვიმუშაოთ.

<http://www.liberali.ge/images/cache/630x225/crop-0-17-940-353/images%7Ccms-image-000030894.jpg>

ამბავი ალი-აკბარ იბნ-ზაჰირის ბედისწერისა

ნოდარ მამაცაშვილი



ეს მცირე, ოთხგვერდიანი ტექსტი, რომელიც ხელნაწერთა ცენტრის, რატომღაც სპარსული ხელნაწერების ფონდში # 37911-ბ-ით იყო აღნიშნული, შემთხვევით აღმოაჩინა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომლის დასახელებისგან თავს ვიკავებ ქვემოთ აღნიშნული მიზეზის გამო. ჩემდა ბედად, ეს თანამშრომელი იმავდროულად ჩემი მეგობარიც არის. თუ ამას დავუმატებთ ჩემს დაუოკებელ ტრფიალს სიძველეების მიმართ, ადვილი ასახსნელი იქნება ამ ხელნაწერის ასლის ჩემს ხელთ მოხვედრის ფაქტი. მისივე ზუსტი დაკვირვებით, რომელიღაც ვრცელი ტექსტის შემოკლებული თარგმანი უნდა იყოს, ნაუცბათევად შესრულებული, თანაც მოგვიანებით, რაზეც მიუთითებს სანერი მასალა. შესრულებულია უხემ ქალაღზე ჭვირნიშანით, რაც მოგვიანო ხანის მონაპოვარია. მთარგმნელი თუ დამკონსპექტებელი არამუსლიმი რომ უნდა იყოს, ამაში სტილის სისადავე და სპარსული ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი მინიატურების უქონლობა გვარწმუნებს. ისიც საგულისხმოა, რომ ტექსტში არსად არ ხდება აპელირება ალაჰზე.

მიუხედავად ტექსტის წარმომავლობის გაურკვეველობისა, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მისი გაცნობა, ტრადიციული თემის-ბედისწერის კიდევ ერთ იმპროვიზაციას რომ წარმოადგენს.

ერთ დროს ბაღდადში ზეობდა ამირა ალი-აკბარ იბნ-ზაჰირ- კაცი ჩაუქი, ბრძენი და ფრიად განსწავლული საღმრთო წიგნებში. მისი სასახლის ზანდუკები სავესე იყო უამრავი თვალ-მარგალიტით, ხოლო საცხენები- ძვირფასი ჯიშის ჰუნებით. მის დროს ვაჭართა ქარავნები მშვიდად სერავდნენ ბაღდადის ფოლორცებს, ხოლო მოქალაქეებს არხეინად ეძინათ კარღიაში. ჰყავდა ამირას მშვენიერი, სათნო თანამეცხედრე ზულფი-ხანუმ და ესვა ვაჟი სახელად მაქსუდ-მირზა, მეტად საზრიანი და ცქნაფი ვინმე. მამა თავად წვრთნიდა ერთადერთ ვაჟს

დიდებულთა ქცევის ჩვევებში, ასწავლიდა მას თავის თავაზიან დახრასა და გულზე ხელების გადაჭდობას, მუსლიმთა წესისამებრ.

უყვარდა ამირას მწიგნობარ კაცთა შორის ინახად ჯდომა და პაექრობა ყურანის სურებსა თუ ბედისწერის გარდუფალობაზე.

ერთხელ სასახლეს შემოხეტებულმა უცხო დერვიშმა მას უწინასწარმეტყველა, რომ ოდესმე საკუთარი სასახლის სარდაფში დაიდებდა ბინას. ამაზე ამირამ ბევრი იცინა. მაშინ გულმოსულმა დერვიშმა დასძინა, რომ დიდი განსაცდელი ელოდა, საიდანაც არა რომელიმე ერთგული ქვეშევრდომი, არამედ ერთი ჩვეულებრივი, ყველასთვის საძულველი მღრღნელი გამოიხსნიდა. ამის გამგონე ამირამ მეჭმანდარს ყარიბის გაძევება უბრძანა.

ალი-აკბარის უმცროს ძმას- რასულს, ამირას ჯარს რომ სარდლობდა, მაცდუნებლად ლამაზი ცოლი- მეჰრი ჰყავდა. მალემწმენ რასულს პატივმოყვარე მეჰრიმ ჩააგონა, თითქოს მახლს მის მიმართ ავხორცი ზრახვები ამოდრავებდა და ქმარს მეუღლის ღირსების დასაცავად მოუწოდებდა. უნებისყოფო რასული აჰყვა დედაკაცის ენას, რამეთუ ეს იარაღი ხშირად ხმაღზე უბასრესია. მიიმხრო ამირაზე განაწყენებული დამცრობილი დიდებულები და შეთქმულება მოაწყო. ბუნებით მიმნდობი ალი-აკბარი, რაც მბრძანებულთათვის უსარგებლო რამაა, სრულიად მოუშზადებელი აღმოჩნდა და ვერაგი ძმის ტყვე შეიქნა. რასულმა იცოდა, ძმის ცოცხლად დატოვება საშიშროებას შეუქმნიდა მის ტახტს და სიკვდილი განუჩინა. მისი შვილი კი თავისთან დაიტოვა ვითომდა აღსაზრდელად, სინამდვილეში თვალყურის სადევნებლად. ცოლი მისი კი სასახლის სამრეცხაოში განამწესა, რათა მეტად დაემცირებინა.

დილეგში ჩამწყვდეულ ამირაყოფილს მდაბიოს ძონძები შეუგზავნეს. ასე, რომ ამირას ნაცვლად მისივე სამოსში გამოწყობილი ავაზაკის თავი დაგორდა სისხლში მოსვრილი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს გაქცევა თავად ამბოხებულ ძმას მოეწყო ცოლისაგან ფარულად, რათა ამით ამბოხებულ სინდისის ხმა ჩაეხშო.

ტყვეობიდან თავდახსნილი აკბარი ერთგულ კაცთა დახმარებით ირანში გადავიდა და ისპაჰანში ბაღდადის საიდუმლო მსტოვარს, რომელსაც პატარა საჩაიე ჰქონდა გახსნილი, მსახურად დაუდგა. საქმეს კარგი პირი უჩინდა ვიდრე მოულოდნელმა ხიფათმა არ დაუნგრია სიმშვიდის ხუხულა.

ერთ დღეს დუქანში შემოხეტებული რაინდი, თრიანით გაბრუებული, აკბარს აუხირდა, რაც ზედმეტად ფაქიზად გამოიყურებოდა ჩაიჩის პირობაზე, ეგ ხელები ნელსაცხებლებს უნდა იყვნენ ჩვეულებრივი. აკბარს საეჭვოდ მოეჩვენა ეს ახირება და თავდაპირველად თავაზიანად არიდებდა თავს. მაგრამ როცა სითავხედეს საზღვარი აღარ აღმოაჩნდა, განრისხებულმა ამირაყოფილმა, რომელშიც

მბრძანებლის რისხვამ სიფრთხილეს სძლია, ლანგარი, ხელთ რომ ეპყრა, თავისი ჭურჭლით თავზე გადაამტვრია თავხედს და იქიდან გაიქცა.

რადგან ისპაჰანს აღარ დაედგომებოდა, შირვანში გადავიდა.

დიდხანს დაეხეტებოდა მშიერ-მწყურვალ, ნანგრევებში ათევედა ლამეს. ერთ დღეს ბედისა თუ შემთხვევის წყალობით ერთი მდიდარი სოფდაგრის ამალას გადაეყარა. მსახურებს აქლემი დავარდნოდ და ვერას შველოდნენ. აკბარმა დიდხანს უცქირა მსახურთა ამო ჯახირს ბუჩქებიდან, მერე კი ველარ მოითმინა და სამალავი დააგდო. იმედგადაწურულ ასაბიას ურჩია, რა უნდა გაეკეთებინათ. ასეც მოიქცნენ და აქლემი წამოგდა. გახარებულმა სოფდაგარმა უცნობს ვინაობა გამოკითხა. აკბარი ცხენთა გამხედნად გაეცნო. მოხუცმა თავისი საჯინიბოს მეურვეობა შესთავაზა და ისიც რასაკვირველია, დასთანხმდა. თანაშემწედ ერთი ყმანვილი თარაქამი დაუნიშნეს, რომელიც განაწყენებული იყო ბატონზე, რადგან თავი მეჯინიბის თანამდებობაზე შესაფერ კაცად მიაჩნდა. . ალას ერთი საყვარელი, დიდსალირი ულაყი ჰყავდა - „ყარაულდუზ“, ყაბარდოში შექენილი. მოულოდნელად ცხენი ავად შეიქნა. როგორც ჩანდა, ვილაცას მოენამლა. აკბარმა ვერა გაანყო რა. ცხენი მოკვდა. თარაქამის ჩაგონებით ალა დარწმუნდა, რომ ულაყი უცხო მეჯინიბის უმეცრებას ემსხვერპლა და მისი დასჯა გადაწყვიტა. ვაჭრის ახალგაზრდა, კეკლუცმა ცოლმა, რომელსაც მეჯინიბზე შევარდნოდა გული, ქმრის ურუმრად ღამით საჯინიბოს ჩარაზული კარი გააღო. ჯერ აკბართან აღერსს მიეცა, მერე კი იქიდან გააპარა. მთელი ღამე იარა მეორედ თავდაღწეულმა იბნ-ზაჰირმა. გამთენიისას გზის პირას, წყაროსთან ჩაეძინა დაქანცულს. ძილად მიქცეულს ძილისშორისი ეწვია. იხილა, თითქოს ბალდადის მოედანზე იყო. ტანთ მუშაითის სამოსი ეცვა და თოკზე გადიოდა. ის-ის იყო ერთი ბოლოდან მეორემდე უნდა მიეღწია, რომ ბოძზე აცოცებული ბელიარი დალანდა, რომელიც თოკი გადაუჭრა, მუშაითად ქცეული აკბარი ბნელ ჯურღმულში დაინთქა. ზარდაცემული ნამეჯინიბარი აქლემთა ფლოქვების ხმამ გამოაღვიძა. მექარავნებს წყაროსთან შეესვენათ და აქლემები დაერწყულეზინათ. მუსაიფის ძაფი გაიბა. აკბარი მოხეტიალე მუშაითად წარუდგა. ჩემი ოსტატი სიძუნის სენმა შეიპყრო და გამოვექციო. მექარავნებს მოენონათ ენანყლიანი, მარჯვე კაცი და სარანგად აიყვანეს.

ერთხელ ყათარი გურჯების ქვეყანაში ეპირებოდა გამგზავრებას, მაგრამ გზაში შეიტყვეს, რომ მათი ქალაქი-თაფლისი თურქებს აელოთ. ამიტომაც გეზი იცვალეს და ბალდადის გზას დაადგნენ. აკბარს, რა თქმა უნდა, არ ენადა თავი ხიფათში ჩაეგდო და გადაწყვიტა გაპარულიყო. ღამით, საზღვართან, როცა ვაჭრებმა კარვები დასცეს და აქლემებიც მოასვენეს, იარალი განიძარცვა და იქაურობის დატოვებას აპირებდა. მაგრამ მოულოდნელად ქარავანს ავაზაკები დაესხნენ თავს. უიარალო მცველი ადვილად დაატყვევეს და იქვე დააგდეს ხელშეპორკილი, რადგან ზედმეტ სისხლს მოერიდნენ. დედიშობილა დარჩენილ მექარავნებს საეჭვოდ მოეჩვენათ სარანგის უვნებლად გადარჩენა, მის პათიოსნებაში ეჭვი შეიტანეს და ადგილობრივ ჩაფრებს გადასცეს, როგორც ავაზაკთა ხელშემ-

წყობი. ჩაფრებმა ათიოდ ტაჯგანალის დაკვრის შემდეგ ბალდადის ყადს მიჰგვარეს ბრალეული. მაგრამ ვინაიდან განსასჯელი უცხოტომელი აღმოჩნდა, ყადმა სამართალი ვერ განუჩინა და ამირას წარუდგინა.

ამასობაში კი ბალდადში დროის დინებას ბევრი რამ შეეცვალა. რასულმა, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, გადაწყვიტა უფროსი ძმის შვილისათვის თავისი უმრო ქალიშვილი შაჰრო შეერთო ცოლად, რათა ტახტი ამით განემტკიცებინა. მაქსუდი მოჩვენებითად დათანხმდა წინადადებაზე, მაგრამ მზარეული მოისყიდა და მოლაპარაკების ნადიმზე ამჟამინდელ ბიძას და მომავალ სიმამრს შარბათის ნაცვლად სანამლავეთ მოუხდა ბიძაშვილ-ნეფე-პატარძლის დალოცვა. დაქვრივებული მეჭრი-ხანუმი დილეგში ჩააგდეს. ამრიგად, მაქსუდ-მირზა ბალდადის ამირა გახდა. მალე ზულფი-ხანუმიც მიწებდა სიკვდილის ანგელოზს. სიკვდილის წინ ვაჟიშვილი იხმო და გაუმხილა, რომ შესაძლოა სისხლიანი თავი, ჯალათს რომ ეპყრა, სულაც არ იყო მამამისისა. ბოლოს თითიდან გაიძრო იაგუნდის ბეჭედი, ქმრის ნაჩუქარი, რომელსაც სულ თან ატარებდა და მაქსუდს გადასცა. ბეჭედს ასეთი მრჩობლედი ჰქონდა წარწერილი:

**„არ გაბჰნირავს,
მჯერა ჩვენი ბაღისწერა“.**

წარწერას ასო „ზაი“ ამშვენებდა. ზუსტად ასეთივე ბეჭედი ჰქონდა აკბარს, იმ განსხვავებით, რომ მას ასო „ალეფი“ ესვა.

რა მოახსენეს ახალ ამირას უცხოტომელის დანაშაულის შესახებ, მისი დილეგში ჩაგდება ბრძანა, რომელიც სასახლის სარდაფში მდებარეობდა. ამრიგად ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ამირა საკუთარ სასახლეში დაბრუნდა, ამჯერად როგორც ტუსალი. დატყვევებულმა მოცალეობის და უფრო მონყენის გამო ერთი ვირთხა მოიშინაურა, რომელსაც ტუსალის მწირ საკვებს უზიარებდა. ასწავლა მას მონისებრი თავდახრა და გულზე თათების მიდება თაყვანისცემის ნიშნად. ერთ დღეს, რადგან ვირთხებისთვის ადამიანთა დანესებული სარდაფისა და დარბაზის ზღვარი არ არსებობს, ამირაყოფილის მოწაფე ღამით ამირას საძინებელში მოხვდა. მაქსუდ-მირზა, რომელსაც ფხიზელი ძილი სჩვეოდა, ღამით რალაც ფაჩუნმა გამოაღვიძა. წამოდგა ისე, რომ მესანოლეთათვის არ შეუტყობინებია და შანდალი აანთო. სანთლის მკრთალ შუქზე სპარსულ ხალიჩაზე მოკალათებული ვირთხა იხილა, რომელიც გაქცევის ნაცვლად, უკანა თათებზე შედგა, მდაბლად დაუკრა თავი და გულზე თათები მიიდო. ამირას რალაც ენიშნა. ვის შეიძლება გაენვრთნა ცხოველი. გაიკითხა მაგრამ მსახურთა შორის ასეთი არ აღმოჩნდა. მაშინ დილეგის ბინადრით დაინტერესდა. მოჰგვარეს ბრალეული. აკბარმა, რომელმაც იცნო უკვე დავაჟკაცებული შვილი, მლეღვარება დაიცხრო და თავი არ გაამყდავნა, რადგან პირმშოს საზრიანობის გამოცდა სურდა. მაქსუდმა, რალაც რომ ინიშნა, შეინყალა ტუსალი და ბაზიერად გაამწესა, მისთვის უკეთ რომ ედევნებინა თვალი.

აქ წყდება ტექსტი. ჩანს ავტორი თუ გადამწერი გაგრძელებას აპირებდა, მეოთხე გვერდზე მხოლოდ 17 სტრიქონია გადმოტანილი. ამავე ეჭვს ამბავებს ის გარემოება, რომ ტექსტს არ ახლავს არც თარიღი, არც ხელრთვა და არც ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი ე.წ. ანდერძი.

თუმცა აღმოსავლური ლიტერატურული სტანდარტების გათვალისწინებით ძნელი არ უნდა იყოს ფინალის აღდგენა. ბეჭდების შემოტანა ამბავში იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი ამ დეტალით აპირებდა კვანძის გახსნას. მაგალითად მაქსუდი თავისი კაცის მემკვიდრით ღამით ჩუმად შეუცვლის მამას თითზე ბეჭედს და ამით მიახვედრებს, რომ მისთვის ყველაფერი ცნობილია. აკი თავად ავტორი ამბობს, მამას შვილის საზრიანობის შემოწმება სურდაო. შესაძლოა გმირის მაინცდამაინც ბაზიერ-

ად განწესება იმ ჩანაფიქრს ემსახურება, რომ მამა-შვილი ნადირობისას შეხვდნენ ერთმანეთს, რათა მამამ რაიმე გმირული უნებით თავი გაამჟღავნოს. ან სულაც შვილმა დაიმსახუროს მამის ქება. ასეთი რამეები ხშირად ხდება ნადირობისას.

ძნელი წარმოსადგენია ტრაგიკული ფინალი, მაგალითად- იგივე ასპარეზობის დროს მამა შვილის ბრმა ისარმა იმსხვერპლოს და დაჭრილის თითზე ბეჭდის აღმოჩენით მოეფინოს ნათელი ყველაფერს. ან პირიქით შვილი გახდეს მამის უნებლიე მსხვერპლი. მითუმეტეს, რომ ყარბის წინასწარმეტყველებაში ლაპარაკია განსაცდელიდან გამოხსნაზე.

თუმცა ვინ იცის, რა სიურპრიზს არ გვთავაზობდა ანონიმი ავტორი!

2014, XII



პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ.



სამუშაო უნარ-ჩვევები და შუამდგომლობები სოციალური ინტეგრაციისთვის

მაია ასაკაშვილი



ამერიკის საელჩოს დახმარებით, არაერთ მნიშვნელოვან ნამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აშშ-ს ფინანსური დახმარებით განხორციელებული „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის პროექტი-„სამენარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და თანაბარი პირობების შექმნა შუამდგომლობისთვის.“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობის შესწავლა და დასაქმება დღეს სერიოზული პრობლემაა. სკოლის დამთავრების შემდეგ ამ კატეგორიის ადამიანებს ექმნებათ პრობლემა, ისინი აღარ არიან საჭირო აღარც სკოლისთვის, აღარც საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სახელობო განათლება დამატებით სახელმწიფო რესურსებს მოითხოვს, ასევე აფერხებს ამ კატეგორიის ადამიანებში დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევების განვითარებას, მათ თვითრეალიზაციასა

და ინტეგრაციას. განსაკუთრებით რთული ვითარებაა ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირებში.

- ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირებს უჭირთ შრომით ბაზარზე გასვლა, მათ ესაჭიროებათ დამხმარე ალტერნატიული სერვისები: ფუნქციონალური მიდგომის პრინციპით, ინდივიდის ძლიერი მხარეების მულტიპლიციზაციის შეფასების საფუძველზე, პროფესიული გადამზადების სახელობო და დასაქმების ცენტრების ამოქმედებისა და განვითარების ხელშეწყობა, მათ საჭიროებებზე მორგებულ სახელოსნოებში ჩართვა და ამ გზით გასვლა ბაზარზე.
- პროექტის ფარგლებში ამერიკის საელჩოს მიერ შექმნილ იქნა მინი-სტამბის ტექნიკა. შუამდგომლობები დაეუფლნენ პოლიგრაფიულ საქმიანობას, მუშაობდნენ რვეულების, ბლოკნოტების, სატრეინინგო მასალების, პლაკატების, კალენდრების დამზადებაზე, აკინძვასა და ბეჭდვაზე.
- მოამზადეს, დააკაბადონეს და დაბეჭდეს ორგანიზაციის გაზეთი - „მშობლის ხმა“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მომზადდა და დაიბეჭდა ასოციაციის ფლაერი, კალენდარი.
- პროექტის დასრულების შემდგომ მინი-სტამბა გადავა თვითდაფინანსებაზე, პროექტის ფარგლებში შექმნილი სამენარმეო უნარ-ჩვევები, პოლიგრაფიული საქმიანობის შესწავლა ხელს შეუწყობს შუამდგომლობის დასაქმებასა და სოციალურ ინტეგრაციას.
- უახლოეს მომავალში ორგანიზაციის ბაზარზე ამოქმედდება „სოციალური რეაბილიტაციის მრავალპროფილიანი სახელობო ცენტრი. ცენტრის მიზანია



ჯანმრთელ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განვითარება, სახელობო კომპლექსური მომსახურების სისტემის შექმნა, დასაქმების პირობების, ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნა, სხვადასხვა სახელობო პროფილისა და უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება, რათა შესაძლებელი გახდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანთა ინდივიდუალური და სულიერი განვითარება, ადამიანის ღირსების შესაფერისი ცხოვრება, სოციალური ინტეგრაცია, საზოგადოების მიერ ერთობლივ ცხოვრებაში მათი წვლილის აღქმა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, რაც სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასა და სამიზნე ჯგუფს.

ცენტრის პროგრამა შედგება 4 კომპონენტისგან:

- შშმ მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- სოციალური ადაპტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი გენერალიზაცია;
- პროფესიული-შრომითი მომზადება;
- შრომითი სახელოსნოების მოწყობა;
- მინი-სტამბის გამართვა (სხვადასხვა სახის რვეულების, ბლოკნოტებისა და ბეჭდვითი მასალის გამოსაცემად);
- გ)მცირე მოცულობის სადურგლო სახელოსნო (ხის დამამუშავებელი დაზგა, სადურგლო იარაღები, ხის მასალა);
- დ)მინანქრის სახელოსნოს მოწყობა;
- ე) კერამიკული სახელოსნოს მოწყობა;
- ვ)ხელგარჯილობის გაკვეთილების ორგანიზაცია სკოლის ასაკის აღსაზრდელებთან;
- ზ)სივრცითი და სენსორული უნარების განვითარება;
- თ)პრაქტიკული აზროვნების სტიმულირება;
- ი)დამოუკიდებლობისა და თანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბება;
- კ)დასამზადებელი ნაკეთობების გაცნობა;
- ლ)დასამზადებელი ნაკეთობების შემადგენელი ელემენტების გაცნობა;
- მ)მუშაობისთვის საჭირო მასალისა და ხელ-

საწყობის მომზადება,
ინსტრუქტაჟი;
ნ)ნაკეთობების დამზადება.

4.მშობლებისა და პროფესიონალების თანამშრომლობა, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება, თანამშრომლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების კათედრის სტუდენტებთან, სხვა მსურველებთან.

პროექტის შედეგები

- პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს
- მიზნობრივი ჯგუფის ადამიანების ღირსების შესაბამისად ცხოვრებას;
 - შშმ-თა სოციალურ ინტეგრაციას, იზოლაციის მოხსნას.
 - მათ მიერ საკუთარი თავის რეალიზაციას, დადებითი მხარისა და უნარების გამოვლენას;
 - ინდივიდუალურ განვითარებას, შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევების შექმნა-გაუმჯობესებას;
 - ცხოვრებაში საკუთარი ადგილის, სოციალური წრის, ფუნქციის პოვნა-დასაქმებას;
 - ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას – აგრესიის, აპათიის, დეპრესიის, არაკონტაქტურობის მოხსნა, მედიკამენტების მიღების საჭიროების შემცირებასა და სხვა;
 - მათ საქმიანობას საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია პროდუქციის შექმნის გზით;
 - ხელს შეუწყობს ადამიანის ძირეული უფლებების – შრომის თვითრეალიზაციას შეფერხების-და მიუხედავად;
 - ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე – ანუ იმის შედეგად, რომ შშმ ადამიანი ახერხებს თავისი დადებითი „ძლიერი მხარის გამომზეურებას, მოხდება საზოგადოების მიერ შშმ პირთა წვლილის აღქმა, მათდამი ადეკვატური



- დამოკიდებულების დამყარება და ამ გზით გავრცელებული სტერეოტიპების შეცვლა, სტიგმატიზაციის მოხსნა, საზოგადოების გაკეთილშობილება;
- ოჯახის წევრების განტვირთვა, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კომპლექსების მოხსნა;



• ჯანმრთელებისა და შშმ ახალგაზრდების ინტეგრირებას დაწესებულებაში.

პროექტის განხორციელება დიდ რეზონანსს გამოიწვევს საზოგადოებაში. იგი შესაბამისობაშია ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკასა და სტრატეგიასთან.

პროექტი შესაბამისობაშია და ხელს შეუწყობს შშმ ადამიანების სტიგმისა და დისკრიმინაციის მოხსნას, შშმ და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის გაფართოებას, დღის ცენტრების ალტერნატიული სერვისების, სახელოსნოებისა და სანარმოების და-



ფუძნებას, ამ კატეგორიის ადამიანთა სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური ინტეგრაციის დაწესებულებების სახელობო ცენტრებში მომზადების გზით, ახალი მოდელის შექმნას, საზოგადოების

ყურადღების მიპყრობას, შშმ ადამიანებისთვის რეაბილიტაციის ისეთი სამსახურის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურ ინტეგრაციას, სამთავრობო სტრუქტურებისა და მედიის ჩართულობას, ფართო საზოგადოების დაინტერესებასა და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას ამ პრობლემისადმი.

მადლობა ამერიკის საელჩოს საქართველოში!

საქართველოში 2012 წელს შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციის დროს, პრობლემა შეექმნა ორგანიზაციის პროექტის განხორციელების პროცესში. ჩვენ დავრჩით შენობის გარეშე, ვინაიდან, სოციალურად დაუცველი და დევნილი მოქალაქეები შეიჭრნენ იმ შენობაში, სადაც ორგანიზაცია ფუნქციონირებდა. საელჩოს თანამშრომლები გაგებით მოეკიდნენ ჩვენს მდგომარეობას, ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, გადაგვივადეს პროექტი, დაგვემხარნენ შენობის დაბრუნებასა და პროექტის განხორციელებაში.

ამერიკის საელჩოს დიდი ძალისხმევით შედეგად, მათი შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც გაგვინიეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, დადებითი შედეგი გამოიღო.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 17 იანვრის №1089 განკარგულებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოგვცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სადაც ორგანიზაცია გააგრძელებს ნორმალურ პირობებში თავის საქმიანობას.

დიდი მადლობა ამერიკის საელჩოს საქართველოში, მის თანამშრომლებს ასეთი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის!

„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია..“

უზღუბა, რომელიც უნა დახმარებს ბავშვთა სანსჯემა წარმოებს

ინოვაციური ტექნიკა



დასაქმების რა შანსი აქვთ შშმ პირებს, რომლებიც ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ და რომლებსაც განათლება არ მიუღიათ? რას გეგმავენ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები მათთვის განათლებისა და დასაქმების შანსის მისაცემად?

დილის ექვსის ნახევარზე დგება, იმიტომ რომ გზა მის სამსახურამდე ძალიან გრძელია. მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პანსიონატიდან სამგორში ჩადის. შემდეგ მეტროთი ჯერ სადგურის მოედნამდე მიდის, სადგურის მოედნი-

გაგრძელება →

დან გზას, ისევ მეტროთი, ვაჟა-ფშაველამდე აგრძელებს. ვაჟა-ფშაველადან ნუცუბიძის ჩვილ ბავშვთა სახლამდე რალა დარჩა, შეუძლია ფეხითაც გაუყვეს გზას. სამსახურში 9 საათზე უნდა იყოს. 30 წლის დავით ჭეიშვილი სამეგრელოში, ბავშვთა სახლში გაიზარდა. სკოლაში არასდროს უვლია. წერა-კითხვა, თავისივე სურვილით, 13 წლის ასაკში ისწავლა. მას შემდეგ გამუდმებით ცდილობს, რომ, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საქმე შეისწავლოს და სამუშაოც იპოვოს. ცოტა ხნის წინ გაუმართლა: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დახმარებით, სამსა-



ხური ჩვილ ბავშვთა სახლში იპოვა.

„რას ვაკეთებ ბავშვთა სახლში და რომ მივალ, თუ პროდუქტია გასატანი, ის გამაქვს, ბავშვებისთვის მიმაქვს ტანსაცმელი და საფენები. მიმაქვს და მომაქვს მათთვის საკვები. ეზო-კარში ყვავილებს ვუვლი, მეზღვრობასაც ვითავსებ. რასაც დამავალებს ხელმძღვანელობა, იმას ვაკეთებ. ჩემი ხელფასი 184 ლარია, აქედან თითქმის 90 ლარი გზაში მიმდის. კარგი იქნება, ცოტა მეტი ხელფასი რომ გვქონდეს. მე მიჩვეული ვარ ბავშვებთან ყოფნას. მინდა, რომ მათ სულით და გულით ამოვუდგე გვერდში და მინდა, რომ ბედნიერები იყვნენ და, ჩემსავით, უკეთესები გამხდარიყვნენ,“ - მეუბნება დავით ჭეიშვილი.

მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფრამდე მანქანით მივდივართ. გზას კითხვა-კითხვით ვიკვლევთ. ხალხიც კანტიკუნტად გვხვდება. ქარია. ყინავს. აქა-იქ ნამქერი მოაქვს ქარს. პანსიონატში, რომელიც 2012 წლიდან ფუნქციონირებს, 69 ბენეფიციარი იყრის თავს. იქ ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც წლების მანძილზე, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა შშმ პირებისთვის განკუთვნილ ინსტიტუციებში ცხოვრობდნენ, ინსტიტუციების გაუქმების შემდეგ კი ისინი მარტყოფში გადაიყვანეს. 18 წლიდან ზევით - ასეთია ბენეფიციართა ასაკი. თითოეულ მათგანს განსაზღვრული აქვს სტატუსი სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების, მათ შორის, როგორც სომატური, ისე ფსიქიკური დაავადებების მიხედვით. პანსიონატის მკვიდრებს სტუმრის მისვლა უხარიათ. დერეფნებში თითქმის ყველა ოთახის კარი იღება, ოთახებიდან სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები შეთანხმებულე-

ბივით გამოდიან. ხმა უცებ გავრცელდა, სტუმრები მოვიდნენო. ზოგი ჩუმად ზის ეტლში. შორიდან გადავინებს თვალს. ზოგი უფრო თამამია, ადვილად პოულობს სტუმრებთან საერთოს. 30 წლის წინო ჩხუტიაშვილი სენაკის ჩვილ ბავშვთა სახლში გაიზარდა. 18 წლის რომ შესრულდა, ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში გადაიყვანეს, ქუთაისიდან კი - მარტყოფში. ახლა იმაზე დარდობს, რომ საქმე ვერ იპოვა. არადა, მეუბნება, რომ ბევრი რამ შეუძლია:

წინო ჩხუტიაშვილი

„აი, დალაგება, ქსოვა, ქარგვა, თმის შეჭრა, კომპიუტერი. ჩემი ოცნებაა, რომ სამსახური მქონდეს. და მერე უკვე სახლი,“ - ამბობს წინო.

წინოს მეზობლად, მოპირდაპირე ოთახში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს. სოფოს თავის ოთახში შევყავართ. საწოლზე საქარგავი უდევს. სუფრას ქარგავს. ქარგვა მარტყოფის პანსიონატში ისწავლა. რომ მოქარგავს, მერე გასაყიდად გაიტანს. ის და მისი ქმარი, ორივე ერთად, წინდებს ქსოვენ, ესეც დამატებით შემოსავალია მათთვის. ანატოლი, სოფოს ქმარი, შრომას არ ერიდება - ხან ბარვაში ეხმარება ხალხს, ხან თესვაში, ხან ტვირთის ზიდვაში. არაფერს თაკილობსო, მეუბნება სოფო. ერთმანეთი ქუთაისში, ხანდაზმულთა პანსიონატში, გაიცნეს. ორივე ბავშვთა სახლში გაიზარდა. მათ ერთი შვილი ჰყავთ. რამდენიმე დღეში ნიკა 3 წლის ხდება. ახლა ის მიწოდებით აღზრდით ერთ-ერთ ოჯახში ცხოვრობს. მშობლები მის სახელზე ფულს აგროვებენ:

„როგორც კი თენდება, მაშინვე სამუშაოდ მივდივარ. 24 საათი ვმუშაობ. ვბარავ. შეშას ვაპობ, ფულს ვიღებ, მომაქვს სახლში, მეორე დღეს კი ბავშვის სანახავად მივდივარ,“ - ამბობს ანატოლი. საუბარში სოფო ერთვება: **„ორ კაპიკს ვაგროვებთ, ანაბარი გვაქვს ბავშვის სახელზე გახსნილი და იქ შეგვაქვს ფული. აი, ახლა ლილოში პულტიანი მანქანა ვუყიდეთ. კვირას დაბადების დღე აქვს და მივუტანთ. ღმერთს ვთხოვ, რომ მე, ჩემი შვილი და ჩემი ქმარი ერთად ვიყოთ, ერთად ვიცხოვროთ და ჩემი შვილისთვის რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ,“** - ამბობს სოფო.

ლელა კიკნაძე, მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის დირექტორი, გვეუბნება, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა ინსტიტუციებში გაფანტულმა ადამიანებმა თავი მოიყარეს მარტყოფში, გამოიკვეთა, რომ ბევრ მათგანს იმაზე გაცილებით მეტი უნარი აქვს, ვიდრე მათ წარმოედგინათ. ლელა კიკნაძე იმ მთავარ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, რის გამოც ამ ადამიანების არცთუ მცირე ნაწილისთვის დიდ ინსტიტუციაში გატარებული წლები შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზად იქცა:

„იმ წლებში, როცა ისინი ბავშვთა სახლებში იზრდებოდნენ, მათ განათლებაზე არავის უზრუნვია. ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდის დახმარებით, შემუშავდა ამ

ადამიანების ინდივიდუალური განვითარების გეგმები. გამოიკვეთა, რომ მათი შესაძლებლობები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. დღეისათვის ჩვენს პანსიონატში რვა ადამიანი უკვე მომზადებულია იმისათვის, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყოს, დასაქმდეს და ჰქონდეს ფინანსური დამოუკიდებლობა. ამ ადამიანებს სამსახური რომ ჰქონდეთ, თავისუფლად შეძლებდნენ საზოგადოებაში გასვლას და დამოუკიდებლად ცხოვრებას და ისინი აღარ იქნებიან მიზმულნი სახელმწიფო



ინსტიტუციაზე. ასეთი მიდგომა, დასაქმება, მათ თვითშეფასებას ძალიან ამაღლებს..


სანამ საქმე დასაქმებამდე მივიდოდეს, მანამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადება და გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საკითხი დგება დღის წესრიგში. ამისათვის 2013 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში შშმ პირებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართვა გახდა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. ამისათვის გამოიყო ბიუჯეტიც, ერთი მილიონი ლარის ოდენობით. პროცესში მონაწილეობს ორი მხარე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრო, რომელიც გრანტის ფარგლებში აფინანსებს პროფესიულ სასწავლებლებში შშმ პირთა ჩართულობას. ამ ეტაპზე უკვე მზადების პროცესშია საკანონმდებლო პლატფორმა, რომელიც პროცესის რეგულირებას შეუწყობს ხელს, რათა ინდივიდუალური სწავლება გახდეს გაცილებით მოქნილი. რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2013 წლიდან დღემდე, საერთო ჯამში, 203 შშმ პირმა გაიარა და გადის გადამზადებას 16 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ისინი 18 სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან. მათგან ხუთი დასაქმდა.

მარიკა ზაქარეიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროგრამის დირექტორი, გვეუბნება, რომ ერთადერთი ბიუროკრატიული ბარიერი, რომელიც შშმ პირებს პროფესიულ სასწავლებელში მოსახვედრად ექმნებათ, ეს არის 9 კლასის ატესტატი. ასეთი საბუთის უქონლობის შემთხვევაში, შშმ პირი პროფესიულ სასწავლებელში ვერ მოხვდება. შესაბამისად, თუკი ადამიანი, რომელმაც ბავშვობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილ

დიდ ინსტიტუციაში გაატარა და სკოლაში არ უწვლია, პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებას და დახელოვნებას ვერ შეძლებს. მარიკა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა იმ შშმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ 9 კლასის ატესტატი, პროფესიული დახელოვნების საშუალება მიეცეთ:

„პროფესიული განათლების შესახებ კანონშიც გაჩნდება გარკვეული შესაძლებლობა, რომ მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამები მაინც იყოს მათთვის ხელმისაწვდომი, რომელიც გარკვეულ უნარ-ჩვევებამდე მიიყვანს მათ. ასევე მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე „განათლების მეორე შანსი,“ და ვფიქრობ, რომ ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნას ნიშა, რომელიც ტრანსფერის საშუალებას მისცემს ატესტატის არმქონე პირებს პროფესიულ განათლებაში. მიმდინარეობს სერვისების შემუშავება. ამაზე ძალიან აქტიურად, ყოველდღიური მუშაობა მიდის. მოკლევადიანი პროგრამები ყველა შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახდება, მაგრამ ჩვენ გვინდა უფრო მეტი, რომ ამ ადამიანებს სრული კვალიფიკაციის პროგრამებზე ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა, რადგან, მაგალითად, მე შეიძლება ძალიან მძიმე სოციალური ფონის გამო ვერ ვიარე სკოლაში და მე უნდა მქონდეს იმის შანსი, რომ ცხოვრება გავაგრძელო და ეკონომიურად ვიყო დამოუკიდებელი. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი..

კიდევ ერთი სირთულე, რაც შშმ პირთა დასაქმებას ახლავს თან, ეს თავად დამსაქმებლები არიან. მარიკა ზაქარეიშვილის თქმით, დღეს მიმდინარეობს მუშაობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რათა შემუშავდეს დასაქმების ერთიანი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებლებს ხელისუფლების მხრიდან გაუჩნდება გარკვეული ხელშეწყობა, რომელიც მისცემს მათ სტიმულს დაასაქმონ შშმ პირები:



„წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლა კრახით დასრულდება შრომა, რადგან უამრავ ფულსა და ძალისხმევას ვდებთ განათლებაში და თუკი შედეგი დასაქმება არ დადგა, მაშინ აზრს კარგავს მთელი პროცესი. ცოტა ხნის წინ ჩა-

ვატარეთ დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა, ანუ რას ფიქრობენ ისინი შშმ პირების დასაქმებაზე და რა ბარიერებს ხედავენ. ვისაც არანაირი შეხება არ ჰქონია მათთან, ისინი სკეპტიკურად უყურებენ მათ დასაქმებას, აქვთ უამრავი სტიგმა და სტერეოტიპი. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ადამიანები ვერ შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობას. და არსებობს კიდევ მეორე, პრაქტიკული პრობლემა, თუ როგორ უნდა მოაწყონ

მათ გარემო ამ ადამიანების დასაქმებლად.

მარკა ზაქარეიშვილის თქმით, „კარიტასი ჩეხეთის რესპუბლიკის, მხარდაჭერით, არასამთავრობო სექტორისა და განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ჩართულობით, შეიქმნა შშმ პირთა დასაქმების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები, რომლებიც უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრს გადაეგზავნება გასაცნობად და შემდეგ უკვე დასამტკიცებლად.

ჯანრთილობა

ჩა უნდა ვიცოდეთ სინუსაის ინფექციისა და ხმის ჩახლეჩის მიზეზების შესახებ

მაია ასაკაშვილი



სინუსიტი, ცხვირის ღრუს დანამატი წიაღების ანთება, შეიძლება საკმაოდ შემანუხებელი სიმპტომების მიზეზად იქცეს.

რა ინვეს სინუსიტს და როგორ ვებრძოლოთ მას? რა არის სინუსი?

სინუსი, ცხვირის ღრუს დანამატი წიაღი, ჰაერით სავსე ღრუა. ცხვირის ღრუს ის ვიწრო გასავლით უკავშირდება. ადამიანს ოთხი წყვილი წიაღი აქვს. ესენია:

- შუბლის წიაღები;
- ზედა ყბის წიაღები;
- ეთმოიდური წიაღები (მდებარეობს თვალებს შორის);
- სოლისებრი წიაღები - მდებარეობს ღრმად, სოლისებრ ძვალში.

ხშირად ოთხივე წყვილ სინუსს ერთობლიობაში განიხილავენ და პარანაზალურ (ცხვირის ახლოს მდებარე) სინუსებს უწოდებენ. ყოველი სინუსის ლორწოვანი ამოფენილია ლორწოს წარმომქმნელი უჯრედებით, ეპითელური უჯრედებით და იმ უჯრედებით, რომლებიც იმუნური სისტემის ნაწილს წარმოადგენენ - მაკროფაგებით, ლიმფოციტებით, ეოზინოფილებით. ცხვირის ღრუს დანამატი წიაღების ფუნქციაა ჩასუნთქული ჰაერის დატენიანება ან გათბობა, ირგვლივ მდებარე სტრუქტურების (თვალეები, ნერვები) იზოლაცია, ხმის რეზონირება (გაძლიერება), სახის ტრავმის შემთხვევაში - ბუფერული ზემოქმედება. გარდა ამისა, ჰაერ-

ით სავსე ღრუს არსებობა ამცირებს სახის წონას. როგორ ვლინდება სინუსების ინფექცია?


უმეტესად სინუსიტის სიმპტომებია თავის ტკივილი, სახის მტკივნეულობა, ტკივილი ზენოლისას, ტემპერატურის მომატება. უნდა ითქვას, რომ მწვავე სინუსიტის დროს ცხელება მხოლოდ პაციენტთა 25%-ს აღენიშნება. სხვა ფართოდ გავრცელებული სიმპტომებია:

- სქელი, შეცვლილი ფერის გამონადენი ცხვირიდან;
- ცხვირის გაჭედვის შეგრძნება;
- ყელის ტკივილი;
- ხველა.

ზოგიერთი პაციენტი აღნიშნავს მომატებულ მგრძობელობას ან ტკივილს თავის დახრის დროს, კბილების ან ყურის ტკივილს, სისუსტეს, პირში ცუდ სუნს. თუ სინუსების ანთება არაინფექციურია, გამონადენი გამჭვირვალეა.

რა ინვეს?

ინფექციური სინუსიტი ანუ სინუსების ინფექციური ანთება მაშინ ვითარდება, როცა წიაღის ღრუში გამრავლებას იწყებენ პათოგენური მიკროორგანიზმები - ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები. შედეგად ვითარდება სინუსის გასავლის გარდამავალი დაზიანება - ბლოკირება. წიაღში გროვდება ანთებითი სეკრეტი, რომელიც გამოიყოფა ბლოკირების მოხსნის შემდეგ. გარდა ამისა, ანთება



ინვეს სინუსის ლორწოვანის შეშუპებას, რაც სინუსის გასავლის გახსნას აბრკოლებს. გარდა ინფექციისა, სინუსების ანთების მიზეზად შეიძლება იქცეს ალერგია და სინუსების გაღიზიანება, მაგალითად, მტვრით, კოკაინით, თამბაქოთი. იშვიათად ბლოკირების მიზეზია სინუსთან ახლოს არსებული სიმსივნე. სინუსიდან სეკრეტის დრენირების დარღვევა ასევე შეიძლება გამოიწვიოს სეკრეტის სიბლანტის მკვეთრმა მატებამ, დეჰიდრატაციამ, მედიკამენტებმა, რომლებიც სეკრეტის სიბლანტეს ზრდის, ზედმეტად მშრალმა ჰაერმა. სინუსების ლორწოვანზე არსებულ ეპითელურ უჯრედებს აქვს მიკროსკოპული წამწამები, რომელთა მოძრაობა განაპირობებს სინუსებიდან ლორწოს გამოყოფას. ეს უხილავი წამწამები შეიძლება დაზიანდეს ამა თუ იმ გამღიზიანებლის, მაგალითად, თამბაქოს კვამლის ზემოქმედებით. წიაღში შეგუბებული ლორწო უზრუნველყოფს სათანადო გარემოს ვირუსების, ბაქტერიების, ზოგ პაციენტებში კი (მაგალითად შიდსით დაავადებულებში) სოკოების გამრავლებისათვის. თავის მხრივ მიკრობები უწყობენ ხელს სინუსის გასავლის ბლოკადას. უხშირესად ინფიცირდება ზედა ყბისა და ეთმოიდური სინუსი. იშვიათად, იმუნოკომპრომეტირებულებთან და სტიქიური უბედურების დროს მიღებული მრავლობითი ტრავმების შემდეგ, სინუსიტი შეიძლება აღმოცენდეს სოკოების შესუნთქვის შედეგად. მართალია, ასეთი ინფექცია იშვიათია, მაგრამ ის საკმაოდ სერიოზულია და მძიმედ მიმდინარეობს, შესაძლოა საჭირო გახდეს სასწრაფო მკურნალობა, ქირურგიული ჩარევაც კი.

სინუსიტის ფორმები

მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სინუსიტის შემდეგ ფორმებს:

- მწვავე სინუსიტი - მისი ხანგრძლივობა არ აღემატება 30 დღეს;
- ქვემწვავე სინუსიტი - ხანგრძლივობა 1 თვეზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 3 თვეს;
- ქრონიკული სინუსიტი - გრძელდება 3 თვეზე მეტხანს.
- გამომწვევი ფაქტორის მიხედვით კი სინუსიტი შეიძლება იყოს:
- ინფექციური - ჩვეულებრივ, გაურთულებელი ბაქტერიული ინფექციის შედეგია;
- არაინფექციური - გამოწვეულია გამღიზიანებლებით და ალერგიით.

დიაგნოზი

სინუსების ინფექციის დიაგნოზი უმეტესად ემყარება პაციენტის ჩივილებსა და ექიმის მიერ ჩატარებულ გასინჯვას. პოპულარული ამერიკული სამედიცინო საიტების მონაცემების თანახმად, რენტგენოლოგიური გამოკვლევით მიღებული მონაცემები ხშირად ზუსტი არ არის, ხოლო კომპიუტერული ტომოგრაფია და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა ზოგჯერ მიუწვდომელია (რომ აღარაფერი ვთქვათ კვლევის ღირებულებაზე), სინუსების ინფექციის თავდაპირველი დიაგნოზი და მკურნალობის ტაქტიკა ხშირად მხოლოდ ექიმის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას ემყარება. **საყურადღებო ნიშნებია:**

- ცხვირის სავალბის სინითლე და შეშუპება;
- მოყვითალო სუნინანი (ჩირქის მსგავსი) გამონადენი ცხვირიდან;
- მტკივნეულობა სინუსის საპროექციო ადგილზე ზენოლის და მსუბუქი დარტყმისას;
- შეშუპება თვალისა და ლოყის არეში.
- ზოგჯერ ცხვირის სეკრეტის უჯრედული გამოკვლევა გვეხმარება ინფექციური და ალერგიული რინიტის განსხვავებაში. ინფექციური სინუსიტის დროს ვლინდება ანთებითი უჯრედები - პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტები, ხოლო ალერგიული სინუსიტისას - ალერგიის სპეციფიკური უჯრედები - ეოზინოფილები. როცა ბაქტერიული ინფექციაა სავარაუდო, ექიმი ნიშნავს ანტიბიოტიკებს. ანტიბიოტიკები არაეფექტურია ვირუსული ინფექციისას, რის გამოც მკურნალობა მხოლოდ სიმპტომურია.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ინფექცია არ იკურნება თვდაპირველად დანიშნული მკურნალობით. ასეთ შემთხვევებში ტარდება სერიოზული კვლევები - კომპიუტერული ტომოგრაფია ან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა. ორსულებში კვლევის მიზნით ტარდება ექოსკოპია, რათა თავიდან იქნეს აცილებული დასხივება, თუმცა ეს არ არის ზუსტი კვლევა. რიგ შემთხვევებში, შეიძლება ჩატარდეს რინოსკოპია ცხვირის ღრუს და სინუსების სავალბის ვიზუალიზაციის მიზნით. ზოგჯერ საჭირო ხდება ნემსით წიაღის შიგთავსის ასპირაცია (წიაღის ფუნქცია) და ბაქტერიოლოგიური კვლევის ჩატარება გამომწვევის იდენტიფიცირების მიზნით. ამ მიზნით ცხვირის ღრუში არსებული სეკრეტი, სამწუხაროდ, არ არის შესაფერისი, ვინაიდან, როგორც წესი, ამოითესება ლორწოვანში არსებული ნორმალური ფლორა. წიაღის ფუნქცია ტარდება ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტის მიერ მაშინ, როცა მკურნალობა წარუმატებელია. პროცედურა სრულდება გაუტკივარების ფონზე.



მკურნალობა

ბაქტერიებით გამოწვეული სინუსიტის დროს აუცილებელია ანტიბიოტიკებით მკურნალობა. გარდა ამისა, გამოიყენება ტკივილგამაყუჩებლები, საშუალებები ცხვირით სუნთქვის გასაადვილებლად და ლორწოს გამათხელებლები. ბაქტერიული

ინფექციის არსებობაზე ეჭვი მაშინ მიგვაქვს, როცა პაციენტს აქვს სახის არის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან, სიმპტომები არ უკუგანვითარდება 1 კვირის განმავლობაში და მხოლოდ ცხვირის გაჭედვის სანინალმდეგო პრეპარატები არაეფექტურია. სინუსიტის სამკურნალოდ ანტიბიოტიკის არჩევისას ითვალისწინებენ, რომ ის მრავალი შესაძლო გამომწვევის წინააღმდეგ იყოს აქტიური. უზშირესი გამომწვევებია სტრეპტოკოკი, ინფლუენცის ჩხირი, მორაქსელა, ოქროსფერი სტაფილოკოკი, ჩირქმბადი სტრეპტოკოკი. ჩვეულებრივ, მკურნალობის ხანგრძლივობა 10-14 დღეა, შესაძლოა საჭირო გახდეს მკურნალობა 14-21 დღის განმავლობაში. ცხვირის გაჭედვის სანინალმდეგო და ლორწოს გამათხელებელი საშუალებები გვეხმარება წიაღში დაგროვილი ანთებითი სეკრეტის დრენირებაში. ქრონიკული სინუსიტის მკურნალობა უფრო ხანგრძლივი პროცესია, შესაძლოა, საჭირო გახდეს დრენირება. ალერგიული სინუსიტისას შესაძლოა, ეფექტური იყოს ცხვირში შესასხურებელი ჰორმონული პრეპარატები. ალერგიის სანინალმდეგო პრეპარატები - ანტიჰისტამინები არ არის რეკომენდებული ცხვირის ღრუს გამოშრობის გამო. აღსანიშნავია, რომ ალერგიული სინუსიტისას ბაქტერიული ინფექცია მეორეულია, ამიტ-



ომ მნიშვნელოვანია მისი დროული მკურნალობა. **როგორ დავეხმაროთ საკუთარ თავს?**

ვირუსული სინუსიტის დროს შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ტკივილგამაყუჩებლები (პარაცეტამოლი), ცხვირის გაჭედვის სანინალმდეგო და ლორწოს გამათხელებელი საშუალებები. მნიშვნელოვანია ჰაერი სათანადოდ იყოს დატენიანებული.

რით არის საშიში სინუსების ინფექცია?

მართალია, სინუსების ინფექცია ხშირად არ რთულდება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ის უშუალოდ ვრცელდება თავის ტვინზე და ინვესს საშიშ დაავადებებს - მენინგიტს ან ტვინის აბსცესს. არ არის გამორიცხული სახის ძვლების ანთება - ოსტეომიელიტი და ინფექცია თვალბუდის ირგვლივ - ორბიტალური ცელულიტი. ასეთ დროს დაუყოვნებლივ მკურნალობაა აუცილებელი. **შეიძლება თუ არა სინუსების ინფექციის თავიდან აცილება?**

ამჟამად, არ არსებობს ვაქცინა, რომელიც თავიდან აგვაცილებს ბაქტერიულ სინუსიტს, თუმცა არსებობს გრიპის და პნევმოკოკური პნევმონიის სანინალმდეგო ვაქცინები. ისინი ამავე დროს სინუსიტის რისკსაც ამცირებენ. თუ პაციენტს ყოველწლიურად აქვს სინუსიტი, რეკომენდებულია, გამოირიცხოს ალერგია. ალერგიული სინუსიტის დადგენის შემთხვევაში, სათანადო მკურნალობით შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ მეორეულად ბაქტერიული სინუსიტის აღმოცენება. ზოგჯერ სინუსების ინფექცია დაკავშირებულია ცხვირის ღრუს პოლიპებთან, სიმსივნესთან ან ნებისმიერ იმ დაავადებასთან, რომელიც არღვევს სეკრეტის დინებას. ამ მდგომარეობების მკურნალობით შეიძლება, თავიდან ავიცილოთ სინუსების ინფექცია.

როდის და რატომ იცვლება ხმის ტემბრი?

ხმის ჩახლეჩა ასაკზე არ არის დამოკიდებული, ასეთი რამ ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეიძლება მოუვიდეს. მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია, გავარკვიოთ, რამ იმოქმედა ჩვენს სახმო იოგებზე. ამ შემთხვევაში, გამოჯანმრთელება საგრძნობლად დაჩქარდება.

ხმის ჩახლეჩის მიზეზები

ხმის ჩახლეჩის ყველაზე ხშირი მიზეზი ხორხის ლორწოვანი გარსის ანთებაა. მას ბაქტერიული ან ვირუსული ინფექცია ინვესს. თუ ხორხის კედლები განითვლებულია, საქმე გვაქვს ლარინგიტთან. მწვავე პროცესს შესაძლოა, თან ახლდეს ტემპერატურის მომატება, ხველა ნახველით, საერთო სისუსტე. ზოგჯერ მას ერთვის სინუსიტიც, რომელიც სურდოთი და თავის ტკივილით ვლინდება. თუ ხმის ჩახლეჩა და ლორწოვანის ანთება ხშირია, მაგრამ ცხელება არ ახლავს თან, საქმე გვაქვს ქრონიკულ ლარინგიტთან, რომელიც რამდენადმე უფრო რთული სამკურნალოა. ლარინგიტის გამონწვევის სიხშირით მეორე ადგილი უკავია იოგების ბანალურ გადაძაბვას. ეს არის მასწავლებლებისა და ლექტორების პროფესიული დაავადება. პრობლემა ინფექციური ხასიათისა არ არის, მაგრამ ხმის ჩახლეჩას ინვესს. ქრონიკულ ლარინგიტს ხშირად ინვესს სმა და თამბაქოს წევა. ალკოჰოლი და სიგარეტის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები სახმო იოგებს აუხეშებს, რაც თავისთავად ცვლის ხმის ტემბრს. მათზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ პათოლოგია ძლიერად არ არის გამოხატული, შესაძლებელია პროცესის სასიკეთოდ შემობრუნება. ლარინგიტის მიზეზი შეიძლება იყოს ახლომდებარე ორგანოს დაავადებაც, მაგალითად, ხორხისა ან ფარისებრი ჯირკვლისა. სახმო იოგებზე მოქმედებს სტრესიც. დაღლილობასა და ნერვულ გადაძაბვას ასევე შეუძლია, ხმის ჩახლეჩა გამოიწვიოს.

როგორ ვუმკურნალოთ

ხმის ჩახლეჩისას მთავარია სახმო იოგების მოსვენება. იკრძალება საუბარი, განსაკუთრებით - ჩურჩული, რადგან სახმო იოგებს მეტისმეტად ძაბავს. ჯობს, ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ვთქვათ ერთი წინადადება, ვიდრე ჩურჩულით წავიკითხოთ



მთელი მონოლოგი. ინფექციური ლარინგიტის დროს მკურნალობა მიმართული უნდა იყოს როგორც დაავადების მიზეზის აღმოფხვრისკენ, ისე სიმპტომების შემსუბუქებისკენაც. პირველ შემთხვევაში იყენებენ ანტიბიოტიკებს და ვირუსის საწინააღმდეგო საშუალებებს. ანტიბიოტიკები, ჩვეულებრივ, ინიშნება სოკოს საწინააღმდეგო და ანტიჰისტამინურ პრეპარატებთან ერთად, რათა შემცირდეს გვერდითი ეფექტების განვითარების რისკი. დამატებით რეკომენდებულია ყელის დამუშავება ანტი-სეპტიკით. ეს შეიძლება იყოს სანუნნი ტაბლეტები, სპრეი, სავლები ხსნარი. ასეთი დამუშავების შემდეგ 30 წუთის განმავლობაში არ შეიძლება საკვებისა და სასმლის მიღება, სიგარეტის მოწევა, რათა პრეპარატმა მოქმედება მოასწროს. შეიძლება ანთების საწინააღმდეგო სისტემური საშუალებების გამოყენებაც. ქრონიკული ლარინგიტი ასევე მოითხოვს ანტიბიოტიკოთერაპიასა და იმუნომოდულატორების მიღებას. ხმოვანი იოგების გადაძაბვისას რეკომენდებულია ანტი-სეპტიკის ხსნარებისა და ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებების

დანიშვნა. ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ანტი-სეპტიკმა უფრო მეტად არ გააღიზიანოს ლორწოვანი გარსი, მაშასადამე, ავირჩიოთ ამ თვალსაზრისით ნაკლებად აგრესიული პრეპარატები. როგორც უკვე ითქვა, ალკოჰოლსა და თამბაქოზე უარის თქმამ და ამასთან ერთად - დამარბილებელი საშუალებების გამოყენებამ შესაძლოა, შეაჩეროს პათოლოგიური პროცესი. ამ დროს კარგია სავლები, ინჰალაცია. გამოგადგებათ ხალხური რეცეპტებიც. დაღლილობისა და საერთო სისუსტის შემთხვევაში, მიმართეთ ნევროპათოლოგს - ლარინგიტი სტრესთან ერთად გაივლის. თუ ხმის ჩახლეჩა რომელიმე სისტემური დაავადების შედეგია, გასაგებია, რომ მკურნალობა ამ დაავადებისგან უნდა დავიწყოთ.

სამკურნალო პრეპარატები

რეცეპტურული მედიკამენტების დანიშვნა მხოლოდ ექიმს შეუძლია. ანტიბიოტიკებით თვით-მკურნალობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სამაგიეროდ, თამამად შეგვიძლია ვცადოთ ჰომეოპათიური პრეპარატები ან ბალახები - სალბი, ევკალიპტი, გვირილა. ყელს კარგად არბილებს ქაცვის ზეთი.

ხმის ჩახლეჩის მკურნალობა ხალხური საშუალებებით

თუ ხმის ჩახლეჩას თან არ ახლავს ტკივილი, სავლების გამოვლება აზრს მოკლებულია, რადგან ამ მეთოდით აქტიური ნივთიერებები ანთების კერაში ვერ აღწევს. ამ შემთხვევაში, უმჯობესია იმ სამკურნალო მცენარეების ინჰალაციები, რომლებიც უზვად შეიცავს ეთერზეთებს. შეიძლება მცენარეული ჩაისი, თბილი წყლის სმა, ცხარე, მჟავე, ცივ საკვებს ვერიდოთ. ბავშვების მკურნალობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცირე ასაკში მენტოლი და სხვა ეთერზეთები უკუნაჩვენებია. ხმის ჩახლეჩისას ბავშვი დროულად უნდა ვაჩვენოთ ექიმს.

გენეტიკა

ნაადრევი დამუჭუმის სინდრომი



ადამიანის დაბერების მოლეკულურ-გენეტიკური საფუძვლების შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა იმ სინდრომთა კვლევა, რომლებიც ნაადრევ დაბერებას

ინვევს. ორგანიზმის ამ პათოლოგიურ მდგომარეობას პროგერიას უწოდებენ. დაავადება ორგანიზმის 8-10-ჯერ სწრაფად აბერებს. ამ დროს ადამიანი წელიწადში 10-15 წლით ბერდება.

პროგერია ერთ-ერთი უიშვიათესი გენეტიკური დაავადებაა. მთელ მსოფლიოში ახლა ასამდე „პატარა მოხუცი“ ცხოვრობს. პროგერია მოიცავს რამდენიმე სინდრომს, მათ შორის:

- ბავშვთა პროგერიას ანუ ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომს;
- ზრდასრულთა პროგერიას ანუ ვერნერის სინდრომს;
- როტმუნდ-ტომპსონის სინდრომს;
- ბლუმის სინდრომს;
- პიგმენტურ ქსეროდერმას;
- კოკეინის სინდრომს;
- ფანკონის ანემიას;
- თანდაყოლილ დისკერატოზს;
- დაუნის სინდრომს და სხვა.

პროგერიაზე საუბრისას უმთავრესად ბავშვთა პროგერიას ანუ ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომს გულისხმობენ. ის უიშვიათესი დაავადებაა - მილიონიდან ერთს აქვს, მაშინ როდესაც სხვა სახის ნაადრევი დაბერების სინდრომთა სიხშირე ასი ათას-

ზე ერთია. ბავშვები, რომლებიც ამ დაავადებით იბადებიან, ჩვეულებრივ ახალშობილებს ჰგვანან და 2-3 წლამდე არაფერი ეტყობათ. შემდეგ ზრდა მკვეთრად ფერხდება, კანი თხელდება, შრება, ნაოჭდება, ტანზე ჩნდება ჰიპერპიგმენტირებული უბნები, გათხლებული კანის ქვეშ ჩანს სისხლძარღვები. ავადმყოფს აქვს სპეციფიკური გარეგნობა: დიდი თავი, წინ წამოწეული შუბლი, ნისკარტისებური ცხვირი; ქალას ტვინოვანი ნაწილი უფრო დიდია, ვიდრე სახისა, ქვედა ყბა განუვითარებელია, სახე პატარაა, დაღვეულია კბილების ფორმა და რაოდენობა, დისტროფიულ ცვლილებებს განიცდის ფრჩხილები, თმა, წარბები და წამწამები (ცივივა, კუნთები ატროფირებულია, ცვლილებები შეინიშნება ძვალსახსროვან სისტემაში, მიოკარდში, სასქესო ორგანოები ჰიპოპლაზირებულია. დაავადების პროგრესირებისას წარმოიშობა ათეროსკლეროზული ფოლაქები, რასაც ინფარქტამდე მივყავართ. 6 წლის ასაკში ბავშვები ღრმად მოხუცებულებს ჰგვანან. პროგრესით დაავადებულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 13 წელია. ისინი სრულწლოვანებამდე იშვიათად თუ აღწევენ. ცნობილია მხოლოდ ერთი პაციენტი, რომელმაც 45 წელი იცოცხლა. სიკვდილის მიზეზი უმეტესად მიოკარდიუმის ინფარქტია. ბავშვთა პროგრესიის მიზეზი გენ LMNA-ს მუტაციაა. ეს მუტაცია ყოველთვის დე ნოვო ანუ თავიდან, ხელახლა წარმოიქმნება და არ მემკვიდრეობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მუტაციური გენის მატარებლები რეპროდუქციული ასაკის მიღწევამდე იღუპებიან და შთამომავლობას არ ტოვებენ. აღწერილია ოჯახები, სადაც დაავადებულია და-ძმა. ხშირად ეს ის ოჯახებია, სადაც მშობლებს ერთმანეთთან ნათესაური კავშირი აქვთ, რაც გვაფიქრებინებს დაავადების დამემკვიდრების აუტოსომურ-რეცესიულ ტიპს. გენი LMNA ცილა ლამინ A-ს ასინთეზებს. ლამინები ცილებია, რომელთაგანაც შენდება უჯრედის ბირთვის გარსი, ამიტომ მათ ბირთვულ ლამინასაც უწოდებენ. ცილა ლამინ A უჯრედის ბირთვის გარსის ქვეშაა მოთავსებული ძაფების სახით. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის გაყოფის დროს ბირთვის დაშლასა და ხელახლა წარმოქმნაში და ბირთვში ქრომოსომების ფიქსირებაში, ხოლო ვინაიდან ის დაკავშირებულია ქრომოსომებთან, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მათში მოთავსებული გენების მუშაობაშიც. ამრიგად, ცილა ლამინ A უჯრედის ბირთვს ნორმალური სტრუქტურის შენარჩუნებაში ეხმარება. მუტაციის შედეგად სინთეზდება ლამინას მოკლე მოლეკულა. მას პროგრესიული ენოდება. ცილა პროგრესიული ბირთვის სხვა ლამინის მოლეკულებთან ვერ ინტეგრირდება, რაც ლამინას კედლის რღვევას იწვევს, ამას კი, თავის მხრივ, გენომის არასტაბილურობამდე მივყავართ - თავს იჩენს გენთა მუშაობის ანუ ექსპრესიის ცვლილებები და უჯრედები იღუპებიან. თუ დავაკვირდებით პროგრესიული დაავადებული ადამიანის ფიზიოლოგიის ბირთვებს, დავინახავთ, რომ ისინი დეფორმირებულია. ზრდასრულთა პროგრესია ანუ ვერნერის სინდრომიც აუტოსომურ-რეცესიული ბუნებისაა. ამ სინდრომმა სახელწოდება გერმანე-

ლი ექიმისა და მეცნიერის ოტო ვერნერის პატივსაცემად მიიღო. მან პირველმა აღწერა ოჯახი, სადაც ოთხი და-ძმა იყო დაავადებული ამ სინდრომით, რაც ამ დაავადების დამემკვიდრების აუტოსომურ ხასიათზე მიანიშნებდა. ვერნერის სინდრომით დაავადებულები სქესობრივ მომნიშვნელოვანად, 17-18 წლამდე, ნორმალურად ვითარდებიან, ამიტომ აქვთ ნორმალური სიმაღლე და შესაძლოა, შთამომავლობაც იყოლიონ, მერე კი ნაჩქარევად ბერდებიან. 30-40 წლის ასაკში ისინი უკვე ღრმად მოხუცებულებს ჰგვანან. ნაჩქარევად ბერდება კანი, სისხლძარღვები, რეპროდუქციული სისტემა, ძვლები, დაავადებულებს ემართებათ კატარაქტა, დიაბეტი, ათეროსკლეროზი, ოსტეოპოროზი, ისინი ჭაღარავდებიან და სცივივით თმა, აქვთ სხვადასხვა ტიპის ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები და საბოლოოდ ან სწორედ სიმსივნით იხოცებიან, ან გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამ დაავადებისთვის 40-50 წელია. იგი მე-8 ქრომოსომაზეა ლოკალიზებული. გენი ასინთეზებს ატფ-დამოკიდებულ ჰელიკაზას, რომელიც დნმ-ს რეპარაციაში მონაწილეობს. გენში მუტაციის შედეგად ირღვევა დნმ-ს რეპლიკაციისა და რეპარაციის, გენთა ნორმალური ექსპრესიის პროცესები და ჩქარდება ქრომოსომათა დაბოლოებების - ტელომერების დამოკლების, ცვეთის პროცესი, რაც, თავის მხრივ, უჯრედთა აპოპტოზს ანუ კვდომას იწვევს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ პაციენტთა უჯრედები მეტისმეტად სწრაფად მრავლდებიან და მალევე ამონურავენ თავიანთ დაყოფის პოტენციალს - თითქმის 3-5-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანის უჯრედები. როტმუნდ-ტომპსონის სინდრომი ძალიან ჰგავს ვერნერის სინდრომს: მას ახასიათებს კანის განსაკუთრებული ჰიპერპიგმენტაცია, მზის სხივების მიმართ მომატებული მგრძობელობა, ზრდის შეფერხება, ჰიპოგონადიზმი, ანემია, კატარაქტა, თმის ცვენა და ა.შ. ვერნერის სინდრომისაგან განსხვავებით ამ პაციენტებს უვითარდებთ სიმსივნის განსაკუთრებული სახე - ოსტეოგენური სარკომა. ისევე როგორც ვერნერის სინდრომის დროს, მუტაციური გენი ასინთეზებს დეფექტურ დნმ-ჰელიკაზებს. დნმ ჰელიკაზები დნმ-ს რეპარაციაში მონაწილეობენ. პიგმენტური ქსეროდერმა იშვიათი აუტოსომურ-რეცესიული დაავადებაა. მისი სიხშირეა 1: 250 000. ხასიათდება მზის სხივების ულტრაიისფერი გამოსხივების მიმართ მომატებული მგრძობელობით, კანის პიგმენტაციის დარღვევით. კანზე ჩნდება გაფანტული პიგმენტური ლაქები, კანი იჭმუხნება და წყლულდება, უმთავრესად მზით დასხივებულ არეებში. მეჭეჭოვანი და კერატოზული პროცესები იწვევენ კანის ავთვისებიან სიმსივნეებს. დაავადება ვლინდება ბავშვობის ასაკში და რამდენიმე წელიწადში იწვევს სიკვდილს. პიგმენტური ქსეროდერმის გამომწვევი გენები მოთავსებულია 1, 2, 9 და 19 ქრომოსომებზე და ასინთეზებენ დნმ-ს რეპარაციის ცილებს. დნმ-ს რეპარაცია უჯრედული მექანიზმია, რომელიც

ანარმობებს დაზიანებული დნმ-ს კორექციას. კოკეინის სინდრომი იშვიათი გენეტიკური დაავადებაა. მას ახასიათებს ზრდის შეფერხება, ნაჩქარევი დაბერება (ანუ სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება) და ნევროლოგიური დისფუნქცია. ამ სინდრომით დაავადებული პაციენტის უჯრედები ჰიპერმგრძობიარენი არიან მზის ულტრაიისფერი სხივების მიმართ. კოკეინის სინდრომს რამდენიმე გენის დაზიანება იწვევს. ისინი დნმ-ს რეპარაციული სისტემის ცილებს ასინთეზებენ. ბევრმა არ იცის, რომ დაუნის სინდრომიც ნაადრევი დაბერების სინდრომებს მიეკუთვნება. მას იწვევს 21-ე ქრომოსომის გასამმაგება - ტრისომია. პაციენტებს ნაადრევად უვითარდებათ ასაკობრივი პათოლოგიური ცვლილებები და ცოტა ხანს ცოცხლობენ. მათი ტვინის უჯრედებში გააქტიურებულია სპეციალური ცილები - კასპაზები, რომლებიც ნეირონთა აპოპტოზს ანუ კვდომას იწვევს. აშშ-ის ჯანმრთელობის დაცვის ნაციონალური ინსტიტუტის

მეცნიერებმა აღმოაჩინეს კავშირი ტოქსიკურ ცილა პროგერინის პროდუქციასა და ქრომოსომათა ტელომერების დამოკლებას შორის. ქრომოსომათა ტელომერები ცვდება და მოკლდებიან უჯრედის ყოველი დაყოფისას. მათი მნიშვნელოვანი დამოკლებისას უჯრედი წყვეტს დაყოფას და კვდება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაზიანებული და ფუნქციადაკარგული ტელომერები ააქტიურებს ცილა პროგერინის სინთეზს. ამასთან, ტელომერათა დამოკლების კვალდაკვალ უჯრედები სულ უფრო და უფრო მეტ ტოქსიკურ ცილა პროგერინს გამოიმუშავებენ, შედეგად კი ვლინდება ნაადრევი დაბერების ყველა ნიშან-თვისება. პროგერინის შესწავლა საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ ბუნებრივი დაბერების ბიოქიმიური და მოლეკულური მექანიზმები.

<http://www.mkurnali.ge/skhvadaskhva/genetika/3765-gavuftrthkhildeth-bebiebs.html>

ნანა ალადაშვილი

ბავშვობილდეთ ბებიებს



ცხოველთა სამყაროში მდედრები დიდხანს ინარჩუნებენ ფერტილობას და ხანდაზმულ ასაკშიც კი შეუძლიათ შთამომავლობის მოცემა. ადამიანის მსგავსი მაიმუნების მდედრობითი სქესის ინდივიდები ფერტილური პერიოდის დასრულების შემდეგ მალევე ბერდებიან და იღუპებიან, მაშინ როდესაც ქალები შედარებით ადრე კარგავენ ფერტილობას, მაგრამ კიდევ დიდხანს ცოცხლობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად აღემატება რეპროდუქციულ პერიოდს.

ქალების უმრავლესობა შვილებს 40 წლამდე აჩენს, მერე კი მის ორგანიზმში მენოპაუზა იწყება. აქვს თუ არა ამას რაიმე ევოლუციური მნიშვნელობა? გვჭირდება თუ არა ბებიები? ადამიანის ევოლუციაში ბებიების მნიშვნელობაზე მეცნიერები გასული საუკუნის 90-იან წლებში ალაპარაკდნენ. ამერიკელმა ანთროპოლოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ უძველესი ადამიანების ცხოვრებაში ბებიების როლი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ახდენდა გავლენას. მათი ჰიპოთეზის თანახმად, მენოპაუზის

შემდეგ ქალის ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძლება იმით აიხსნას, რომ ბებიები შვილებს მათი შვილების აღზრდაში ეხმარებიან, რითაც ზრდიან შთამომავლობისთვის თავიანთი გენების გადაცემის ალბათობას. ეს აზრი მეცნიერებს ერთ აფრიკულ პირველყოფილ ტომზე დაკვირვებისას დაეხდათ. აღმოჩნდა, რომ ამ ტომის ხანდაზმული და მოხუცი ქალები ბავშვებისთვის მცენარეების ნაყოფსა და მიწისქვეშა ნაწილებს აგროვებენ, თან თვალყურს ადევნებენ პატარებს. ხანგრძლივმა დისკუსიამ იმის შესახებ, რა კავშირია შვილიშვილების აღზრდაში ბებიების მონაწილეობასა და შვილიშვილების სიცოცხლისუნარიანობას შორის, ნაყოფი ვერ გამოიღო, ამიტომ კემბრიჯელმა მეცნიერმა ლესლი კნეპმა და მისმა კოლეგებმა მასშტაბური კვლევა წამოიწყეს: მათ შეაგროვეს მასალა შვიდ თანამედროვე და ისტორიულ თანასაზოგადოებაზე და მათი შესწავლა დაიწყეს. კვლევის არეალში მოექცა იაპონიის, ეთიოპიის, გამბიის, მალავის სოფლების, გერმანიის, ინგლისისა და კანადის ქალაქების მოსახლეობა. მიღებული შედეგების მეტანალიზმა აჩვენა, რომ ბებიებსა და შვილიშვილებს შორის კავშირი მართლაც არსებობს: შვილიშვილები, რომლებიც ბებიებთან ახლოს - იმავე სახლში ან დასახლებაში ცხოვრობენ, უფრო ჯანმრთელნი და სიცოცხლისუნარიანნი არიან. შვილიშვილებზე ზრუნვისას ბებიები ერთგვარად იცავენ თავიანთ გენებს და მათ გავრცელებასაც უწყობენ ხელს. ანთროპოლოგ ლესლი კნეპის აზრით, ამაში მათ სწორედ მენოპაუზა ეხმარება. თუ ქალს საკუთარი შვილების გაჩენისა და მოვლის საშუალება არ აქვს, ის შვილიშვილების მოვლაზე გადადის და, იმავდროულად, ახალგაზრდებს საკუთარ გამოცდილებას

გადასცემს. ლესლი კნეპმა შეიმუშავა ე.წ. ბებიების X-ქრომოსომული ჰიპოთეზაც. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ქალები თავიანთი ვაჟების გოგონებს გენების 31%-ს გადასცემენ, თავიანთი ვაჟებს - მხოლოდ 23%-ს, ქალიშვილის ორივე სქესის შვილები კი ბებიის გენების 25%-ს იღებენ. თუ მხოლოდ X-ქრომოსომაზე ვისაუბრებთ, მაშინ ვაჟიშვილის ვაჟებს ბებიასთან საერთო გენები არ აქვთ, რადგან X-ქრომოსომას ისინი თავიანთი დედისგან - რძლისგან იღებენ. გენეტიკურად ბებიასთან უფრო ახლოს არიან ქალიშვილის ვაჟები. ლესლი კნეპი და მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ შვიდივე ქვეყანაში უფრო ადრე იხოცებოდნენ ის ვაჟები, რომელთა აღზრდაში მონაწილეობდა არა დედა, არამედ მამის დედა, გოგონებს კი მამის დედასთან ურთიერთობა, პირიქით, სიცოცხლისუნარიანობას მატებდა. ამერიკელი ანთროპოლოგების ჯგუფმა გადაწყვიტა, "ბებიების ჰიპოთეზა" მათემატიკური მოდელის დახმარებით დაემტკიცებინა. ეს მოდელი ადამიანის მსგავსი მაიმუნების ანუ უძველეს ადამიანთა ცხოვრებას აღწერს. მეცნიერებს აინტერესებდათ, როგორ შეიცვლებოდა ასეთი თანასაზოგადოების ცხოვრება, მისთვის ბებიების ინსტიტუტი რომ დაგვემატებინა. მეცნიერებმა შექმნეს ორი ჯგუფი, ერთს ბებიები დაამატეს, მეორე კი უცვლელი დატოვეს. მათი ჩანაფიქრით, ბებიები უნდა ყოფილიყვნენ ყველაზე გამოცდილი, ხანდაზმული მდებრი ინდივიდები, რომელთა მინიმალური ასაკი 45 წელი იქნებოდა, მაქსიმალური კი 75. ამ თანასაზოგადოებაში ბებიების წილი შეადგენდა მდებრიობითი ინდივიდების საერთო რიცხვის 1%-ს. ასეთი ბებიები უვლიდნენ არანაკლებ 2 წლის ბავშვს, რომლის დედაც შეიძლებოდა ყოფილიყო ამ თანასაზოგადოების ნებისმიერი მდებრი ინდივიდი. მოდელი ითვალისწინებდა გენეტიკურ მახასიათებელსაც - იმ მუტაციათა ალბათობას, რომლებიც სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ახდენს გავლენას. ეს ალბათობა 5%-ით განისაზღვრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი ახალშობილის გადარჩენის ალბათობა 5%-ს უდრიდა. მოდელი ასახავდა კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ პერიოდს - 24-60 000 წელს. ადამიანის წინაპრებმა, რომლებიც აფრიკაში ცხოვრობდნენ 2 მილიონი წლის წინათ, კლიმატური კატაკლიზმი გადაიტანეს: კლიმატი უფრო მშრალი გახდა, რის გამოც ტყეები შემცირდა. შედეგად, გაიშვიათდა ადვილად მოსაპოვებელი საკვებიც. რა უნდა ექნათ უძველეს ადამიანებს ასეთ დროს? გამოსავალი ორი იყო: ან გაეგრძელებინათ ცხოვრება გაქრობის პირას მდგარ ტყესთან და საბოლოოდ თვითონაც დაღუპულიყვნენ, ან დახმარებოდნენ საკვების მოძიებაში ერთმანეთს და, რაც მთავარია, ბავშვებს, ვიდრე ისინი დამოუკიდებლად შეძლებდნენ საკვების მოპოვებას. ადამიანებმა მეორე გზა აირჩიეს. უმადლესი პრიმატები დღესაც ასე იქცევიან - ხანდაზმული შიმპანზე ნაშიერებს საკვების მოძიებაში ეხმარება. სწორედ ეს საპასუხისმგებლო მისია დაეკისრათ იმ მდებრი ინდივიდებს, რომლებსაც აღარ შეეძლოთ საკუთარი შვილების ყოლა, მაგრამ შეეძლოთ სხვებზე ზრუნვა. ეს არჩევანი არ ყოფილა შემთხვევითი: მამაკაცები ინდი-

ვიდები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ საბინადრო თუ სანადირო ტერიტორია, ენადირათ, ქალები კი შემგროვებლურ საქმიანობას ენოდნენ, რაც ნადირობაზე უსაფრთხო იყო. საინტერესოა, რომ იმ პერიოდში მამრი ინდივიდები იშვიათად აღწევდნენ ხანდაზმულ ასაკს. ისინი იხოცებოდნენ არა მხოლოდ ტრავმებისგან, არამედ დაავადებებისგანაც, რომლებიც მუდმივი სტრესისა და ამის შედეგად იმუნიტეტის დაქვეითების გამო ემართებოდათ. მოდელირების შედეგებმა განაცვიფრა მეცნიერები: ბებიებიან თანასაზოგადოებაში საგრძნობლად მოიმატა ბავშვთა და მოზარდთა სიცოცხლის ხანგრძლივობამ, საბოლოო ჯამში, გაიზარდა თანასაზოგადოების ყველა წევრის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბებიების რიცხვამაც იმატა და პირველი 24 000 წლის განმავლობაში მდებრი ინდივიდების საერთო რაოდენობამ 43%-ს მიაღწია. ანთროპოლოგებმა დაასკვნეს, რომ პოპულაციაში ბებიების ინსტიტუტის გაჩენამ კარდინალურად შეცვალა პრიმატთა ევოლუციის ხასიათი:

1. მოიმატა მცირეწლოვანთა გადარჩენის ალბათობამ. ხანდაზმულ ქალებს, რომლებიც უკვე გამოვიდნენ ფერტილური ასაკიდან (უძველეს დროში ეს ასაკი 20 წელს შეადგენდა), შეეძლოთ შვილიშვილების მოვლა და ახალგაზრდა ქალების დახმარება. ამან ბავშვების გადარჩენის ალბათობა გააორმაგა.
2. საზოგადოება გამრავლდა. ბებიების ხელშეწყობით ახალგაზრდა მდებრი ინდივიდებს საშუალება მიეცათ, კიდევ გაეჩინათ შვილები, მათ პატარებზე ზრუნვას კი ბებიები იღებდნენ თავიანთ თავზე.
3. თავის ტვინი ძირითადად ბავშვობის ასაკში იზრდება და მისი ზრდის სისწრაფე კვების ხარისხზეა დამოკიდებული. თუ პატარებს დამატებითი საკვების მოპოვებაში ბებიები დაეხმარებოდნენ, ისინი ადრეული ასაკიდანვე უკეთ განვითარდებოდნენ გონებრივად, რაც შემდგომში ევოლუციურად განმტკიცდებოდა ბუნებრივი გადარჩევის წყალობით.
4. ბებიების გვერდით აღზრდამ ადამიანები სოციალური თვალსაზრისით უფრო მეტად გახადა ერთმანეთზე დამოკიდებული, რამაც გამოიწვია ტიპური ადამიანური ნიშნების ჩამოყალიბება: ოჯახური წყვილების შექმნა, თავის ტვინის ზრდა, სწავლის უნარების ჩამოყალიბება, კოოპერაციისკენ სწრაფვა.

მეორე ჯგუფში, სადაც ბებიების ინსტიტუტი არ იყო მოდელირებული, საზოგადოება დარჩა ევოლუციის იმავე ეტაპზე და არც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეცვლილა. ამრიგად, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ადამიანი თავის წარმოშობას ისტორიამდელ ბებიებს უნდა უმადლოდეს... მოდელირებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე ანთროპოლოგებმა აჩვენეს, რომ "ბებიების ჰიპოთეზა" სამართლიანია ყველაზე აბსტრაქტული მოდელირებისთვისაც კი, რომელშიც არ არსებობს ადამიანური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არც ერთი ნიშანი. ბებიები დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს გვინვენ. გაიხსენეთ: ვინ გვიმზადებდა დილით ჩაის და ფა-

ფას? ძილის წინ ვინ გვიკითხავდა ზღაპრებს? ვინ გვაძლევდა ცოტაოდენ ფულს ნაყინისთვის, როცა დედა ამ ცივ-ცივ ტკბილეულს გვიკრძალავდა? რა თქმა უნდა, ბებიები და პაპები... ჰარვარდელმა მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ბებიებს, რომლებიც შვილიშვილებს უვლიან, გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკი 55%-ით მაღალი აქვთ. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს იმ დამატებითი დატვირთვის ბრალია, რომელსაც ბავშვის მოვლა

აყენებს ხანდაზმულ ორგანიზმს. ბებიას ნაკლები დრო რჩება თავისი თავისთვის: ექიმთან სასიარულოდ, დაავადებათა პროფილაქტიკისთვის, ფიზიკური აქტივობისთვის, სწორი კვებისა და ძილისთვის. ასე რომ, გაუფრთხილდით ბებიებს!

<http://www.mkurnali.ge/skhvadaskhva/genetika/3765-gavuftrthkchildeth-bebiebs.html>

„კეთილი ბიძები“, სახელმწიფო და ბავშვები

ანი სუბალიანი



დეინსტიტუციონალიზაცია - რთული სიტყვაა. ხშირად ენაც კი მებმის ხოლმე მისი წარმოთქმისას. დეინსტიტუციონალიზაცია უბრალოდ ცნება კი არა, მცნებაც კია ჩემი პროფესიის ადამიანებისთვის საქართველოში. მეც და ყველა სხვა სოციალურ მუშაკს (და ასევე სფეროში მომუშავე სხვა პროფესიონალებს) ღრმად გვწამს, რომ ეს ის არის, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია, რასთან ერთად დაიბადა ჩვენი პროფესია საქართველოში და რის მნიშვნელობაზეც თითოეულ ჩვენგანს არაერთხელ, არაერთ ადამიანთან გვისაუბრია როგორც პროფესიულ წრეში, ასევე საკუთარ ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთანაც კი. და რა არის მაინც ეს დეინსტიტუციონალიზაცია?

